საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან.

№ 82 (1098) ხუთშაბათი, 13 ივლისი, 1995 წელი. ფასი 200 000 კუპონი.

ერთობლივი საქმიანობა უფრო ნაყოფიერი გახდება

საქართველოში გრძელდება რუსეთის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის ვლადიმერ შუმეიკოს ვიზიტი

12 ივლისს ვლადიმერ შუმეიკო მიიღო საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ.

საუბრის დასაწყისში ბატონმა ოთარ ფაცაციამ რუსეთის სამთავრობო დელეგაციის წევრებს რესპუბლიკის მთავრობის სახელით თანაგრძნობა გამოუცხადა ბუდიონოვსკში დატრიალებული ტრაგედიის გამო და განაცხადა, რომ მომხდარი საკუთარ ტკივილად აღიქვა საქართველომ. ამასთან დაკავშირებით, მან ხაზგასმით აღნიშნა სეპარატისტული მოძრაობის, ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ძალებით ბრძოლის აუცილებლობა და ყურადღება გაამახვილა ჩვენს რესპუბლიკაში სეპარატიზმის უმძიმეს შედეგებს — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემებს. ეს საკითხი, პრაქტიკულად, შეხვედრის უმთავრეს თემად იქცა და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს ერთხელ კიდევ მიაწოდეს ზუსტი ინფორმაცია საქართველოს ამ ორ რეგიონში მომხდარი კონფლიქტების შედეგად შექმნილი ვითარების თაობაზე. ინფორმაციას განსაკუთრებული სიმწვავე და დამაჯერებლობა შემატა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრის ლორიკ მარშანიას მოკლე ნაამბობმა აფხაზ სეპარატისტთა მიერ მოწყობილი ეთნიკური წმენდის შესახებ, რომელსაც ქართველებთან ერთად შეეწირა ათასობით აფხაზი, რუსი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი, მათ შორის მისი ოჯახის წევრებიც.

— საქართველოს ხელისუფლების უმთავრესი პრობლემა ამ კონფლიქტების მშვიდობიანი პოლიტიკური გზით მოგვარებაა. — განაცხადა ბატონმა ოთარ ფაცაციამ, — და ჩვენ ამ საქმეში დიდ დახმარებას გვიწევს რუსეთი, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროცესის გაჭიანურებამ რწმენა შეურყია ჩვენს ხალხს და, უწინარეს ყოვლისა, ლტოლვილებს. რუსეთის ხელისუფლება გაგებით უნდა მოეკიდოს იმ ფაქტს, რომ საკუთარი სახლ-კარიდან იძულებით აყრილმა ადამიანებმა, რომლებიც ხსნას სწორედ საქართველოსა და რუსეთის ერთობლივ ძალისხმევაში ხედავენ, ამ მხარდაჭერის იმედი თითქმის დაკარგეს.

პრემიერ-მინისტრის განმარტებით, ამ არასასურველ მოვლენას ისიც უწყობს ხელს, რომ აფხაზეთში, საქართველოს ხელისუფლების გვერდის ავლით ჩამოდიან რუსეთის სხვადასხვა რანგის მოღვაწეები და ხვდებიან მის ხელმძღვანელებს, ამყარებენ ოფიციალურ ურთიერთობას. თუმცა, თქვა მან, ყოველივე ამის მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთის როლს ამ პრობლემის მოგვარების საქმეში, რის გამოც იგი იმედის თვალით უყურებს ამ ვიზიტს და მისგან რეალურ შედეგებს მოელის.

შედეგი კი, როგორც ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის საპასუხო სიტყვიდან გახდა ნათელი, მხოლოდ რუსეთის ცალმხრივ მონდომებაზე არ არის დამოკიდებული. ცნობილი პოსტულატი იმის თაობაზე, რომ არც ერთი სახელმწიფოს ინტერესები არ მთავრდება მის საზღვართან, ბუნებრივია, აქაც ძალაშია და ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგი ასე გამოიხატა: რუსეთის ინტერესებს შეადგენს ძლიერი, ერთიანი და განუყოფელი საქართველო, განვითარებული და სტაბილური მეზობელი, რომელიც არ გადაუხვევს აღებულ პოლიტიკურ კურსს. ამის ერთ-ერთი გარანტი კი, ბატონი შუმეიკოს განცხადებით, უნდა გახდეს საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მიღებასაც რუსეთის ხელისუფლება არანაკლები ინტერესით ელოდება.

(დასასრული მე-2 გვ.)



სურათზე: საპარლამენტთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ.

ვლადიმერ ვალიშვილის და ბონდო დვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დაიწყება ნავთობის ერთობლივი მოპოვება

12 ივლისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საქართველო-ინგლისის ერთობლივი სანავთობო კომპანიის წარმომადგენლები — ნავთობისა და გაზის კომპანია (ჯეი ქეი ექსის) დირექტორი დევიდ რობსონი და კომპანია „შელი"-ს წარმომადგენლები პოლ ჩინგი და ბილ არნოლდი.

— ჩვენი ჩამოსვლა საქართველოში და საძიებო სამუშაოების დაწყება დიდად განაპირობა თქვენმა ავტორიტეტმა და იმ ნაბიჯებმა, რომლებიც თქვენს ქვეყანაში გადაიდგა, — განუცხადა სახელმწიფოს მეთაურს ბატონმა დევიდ რობსონმა, — ამჟამად კი, ნავთობისა და გაზის კომპანია ჯეი ქეი ექსის კომპანია „შელიც" შეუერთდა და ისინი ერთად წარმართავენ ნავთობისა და გაზის საძიებო სამუშაოებს შავი ზღვის შელფურ ნაწილსა და სანაპიროზოლში. მაღალი ტექნოლოგიის გამოყენებით ერთობლივი კომპანია შეეცდება უმოკლეს დროში დაიწყოს ნავთობის მოპოვება.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

აფხაზეთი — ჩვენი ტკივილი!

ნაჩქარევი, შეუმოწმებელი და არასწორი ინფორმაცია

რუსეთის ზოგიერთი საინფორმაციო საშუალების ცნობები რუსეთის მიერ უშუალოდ აფხაზეთისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან შეუთანხმებლად, წყალდიდობის შედეგების სალიკვიდაციოდ დახმარების სახით 10 მილიარდი რუბლის გამოყოფის შესახებ, გამოდგა ნაჩქარევი, შეუმოწმებელი და, მაშასადამე, არასწორი. ამას მოწმობს, როგორც რუსეთის ფედერაციის დროებითი საქმეთა რწმუნებულის არხიპოვის ოფიციალური წერილი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატისადმი, ისე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორის კარასინის განცხადებანი, რომელთა თანახმად, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევალა შეათანხმოს დახმარების მიცემის პროცესი დადგენილი წესით.

ჰუმანური აქციის სახით, დახმარების შესახებ გადაწყვეტილება, როგორც ბატონ არხიპოვის წერილსა და ბატონ კარასინის განცხადებაშია ნათქვამი, მიღებული იქნება საქრთველოს მხარესთან შეთანხმების შემდეგ.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ არასწორი ინფორმაციის შედეგად, საქართველოს ხელმძღვანელობა შეცდომაში შეიყვანეს და ამასთან დაკავშირებით, საჭირო გახდა ადეკვატური სახით რეაგირება.

ამავე დროს, მთავრობა უფლებამოსილია, ოფიციალური ხელმძღვანელობის სახელით მადლობა მოახსენოს რუსეთის მხარეს ოფიციალური ინსტანციებიდან მიღებული დროული და მნიშვნელოვანი ახსნა-განმარტებისათვის, მზადყოფნისათვის, გაუწიოს საჭირო ჰუმანური დახმარება სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული აფხაზეთის, საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილის მცხოვრებთ.

12 ივლისს საქართველოს მთავრობამ რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას მიმართა თხოვნით, აღმოუჩინოს აფხაზეთს შესაბამისი ხელშეწყობა. საქართველოს მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთიდან მიღებული ჰუმანური დახმარება სამართლიანად განაწილდება აფხაზეთის, მათ შორის, გალის რაიონის ყველა მცხოვრებს შორის.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

შემზარავია ომში დაღუპულ ვაჟკაცთა ცხედრებით ვაჭრობა!

ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორის ურთიერთობათა კომიტეტის მიმართვა აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი ხელისუფლების ორგანოებისადმი

ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათა შორის ურთიერთობათა კომიტეტში შემოსული მასალების ანალიზი — კონფლიქტის ზონებში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე ადამიანის მძევლად აყვანისა და დაღუპულ მამულიშვილთა ცხედრებით ვაჭრობის ფაქტებზე — საგანგაშოა.

არ შეიძლება მოეძებნოს ახსნა და გამართლება უდანაშაულო ადამიანთა დატყვევებას. მათი შემდგომ სისხლის სამართლის დამნაშავეებზე გადაცვლის ან გამოსასყიდის მიღების მიზნით, ყოვლად შემზარავია ომში დაღუპულ ვაჟკაცთა ნეშტებით ვაჭრობა!

ეს ისეთი დანაშაულია, რომელზეც არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა, ასე რომ, ადრე თუ გვიან, პასუხისმგებლობა გარდაუვალია.

გახშირებული პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრესების, საკუთარ სამშობლოში დევნილთა უმძიმესი პრობლემების პირობებში ჩვენი კომიტეტი, გრძნობს რა უდიდეს პასუხისმგებლობას, თანამემამულეთა, მათ შორის, კონფლიქტის ზონაში მცხოვრებთა ბედისათვის, მიუხედავად მათი ეთნიკური კუთვნილებისა, გმობს ადამიანებით ვაჭრობას; მორალის შერყევას, ზნეობის მოშლას, მიიჩნევს სახელმწიფოებრიობის სიკვდილის ტოლფასად.

კომიტეტი აფხაზეთის დღევანდელი ადმინისტრაციისაგან მოითხოვს დაუყოვნებლივ და უპირობოდ იქნენ გათავისუფლებული უდანაშაულო მსხვერპლნი, ამასთანავე, განუმარტავს აფხაზურ მხარეს, თუ მათ აქვთ ცნობები ქართველთა მიერ აფხაზების მიმართ ანალოგიური ქმედობისა, შეგვატყობინონ, — ჩვენი რეაგირება იქნება ერთმნიშვნელოვანი.

ვაცხადებთ, რომ დღეს გულგრილობა ზემოთ აღნიშნულ უმსგავსობაზე თავისთავად დანაშაულია, დანაშაული, ჩადენილი ადამიანთა მოდგმის წინაშე.

რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრებისა და საქართველოს პარლამენტის

შეთანხმება

საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობის შესახებ

რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრება და საქართველოს პარლამენტი, შემდგომში მხარეებად წოდებულნი,

ანიჭებენ რა დიდ მნიშვნელობას რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის ხალხთა ტრადიციული მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის განვითარებასა და განმტკიცებას,

ისწრაფვიან რა აქტიურად შეუწყონ ხელი ორი სახელმწიფოს საერთო ინტერესების სფეროში თანამოქმედების გაღრმავებისათვის კეთილგანწყობილი და თანასწორი პირობების შექმნას,

აღიარებენ რა ორი სახელმწიფოს მეგობრული და ურთიერთხელსაყრელი კავშირურთიერთობის განვითარებისათვის საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აქტუალობას,

ხელმძღვანელობენ რა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით, მათ შორის სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებით,

ესწრაფვიან რა ორივე სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოების მჭიდრო კონსტრუქციული კავშირურთიერთობისა და კონტაქტების შემდგომ განვითარებას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები ითანამშრომლებენ ორი სახელმწიფოს პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ და ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა სფეროებში ურთიერთობის განვითარების მიზნით.

მუხლი 2

მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას რეგულარულად გაცვალონ ინფორმაცია თავიანთი საქმიანობის შესახებ, ხელი შეუწყონ საპარლამენტო სამსახურების მონაცემთა საინფორმაციო ბაზების ერთობლივ მომზადებას, ხელი შეუწყონ იმ ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების სარატიფიკაციო პროცესის სინქრონიზაციას, რომლებიც ხელმოწერილია რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის და რომლებიც რატიფიკაციას ექვემდებარებიან.

მუხლი 3

მხარეთა თანამოქმედების ორგანიზაციისა და კოორდინაციისათვის ფუძნდება რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრებისა და საქართველოს პარლამენტის თანამშრომლობის მუდმივმოქმედი საპარლამენტთაშორისო კომისია, რომელიც შედგება ორივე მხარის საპარლამენტო ჯგუფების წარმომადგენლებისაგან და შემდგომ საპარლამენტთაშორისო კომისია ეწოდება. საპარლამენტთაშორისო კომისიას სათავეში უდგანან შესაბამისი მხარეების მიერ დამტკიცებული თანათავმჯდომარეები.

მუხლი 4

საპარლამენტთაშორისო კომისია ხელს უწყობს საპარლამენტთაშორისო კავშირურთიერთობისა და კონსულტაციების განვითარებას და საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობის ყველა სფეროში ინფორმაციის გაცვლას.

მუხლი 5

საპარლამენტთაშორისო კომისია აანალიზებს მხარეთა თანამშრომლობის მდგომარეობას, კოორდინაციას უწევს მხარეთა საკანონმდებლო საქმიანობასა და ეროვნულ კანონმდებლობათა დაახლოების ძალისხმევას ორივე მხარისათვის საინტერესო სფეროებში, ორგანიზაციას უწევს ორივე სახელმწიფოს პარლამენტებისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებას პარლამენტთა თანამშრომლობის ყველა სფეროში.

მუხლი 6

საპარლამენტთაშორისო კომისია სწავლობს მხარეთა თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს, ამზადებს წინადადებებს, ორგანიზაციას უწევს საპარლამენტო კომიტეტებისა და კომისიების თანამოქმედებას და ხელს უწყობს, თუ ეს აუცილებელია, დეპუტატთა და ექსპერტთა გაერთიანებული ჯგუფების შექმნას, საკანონმდებლო პროცესის კოორდინაციის, საპარლამენტო საქმიანობის გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების მიზნით.

მუხლი 7

საპარლამენტთაშორისო კომისიის მუშაობის ორგანიზაციის წესი განისაზღვრება რეგლამენტით და სხვა აქტებით, რომლებსაც ამტკიცებენ რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრება და საქართველოს პარლამენტი,

მუხლი 8

მხარეები ხელს შეუწყობენ იმ სამეცნიერო დაწესებულებათა შორის მუდმივი კავშირურთიერთობის დამყარებას, რომლებიც ორივე სახელმწიფოს საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოებთან მოქმედებენ, გაგზავნიან ექსპერტებს საკანონმდებლო აქტების შემუშავებისა და მიღების პრაქტიკის, საპარლამენტო საქმიანობის გამოცდილების შესასწავლად.

მუხლი 9

ამ შეთანხმების განმარტების გამოყენების, აგრეთვე მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხები წყდება მოლაპარაკებით, ურთიერთკონსულტაციებით, ან სხვაგვარად, მხარეთა შეთანხმებისამებრ.

მუხლი 10

შეხვედრებისა და კონსულტაციების ჩატარების ვადები, მათი დონე და განსახილველი საკითხები მხარეების მიერ წინასწარ იქნება განსაზღვრული.

მუხლი 11

ეს შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და ყოველი მხარისათვის მოქმედებს მეორე მხარისათვის იმ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის დღიდან ექვსი თვის გასვლის მომენტამდე, რომლითაც ამცნობს, რომ განზრახული აქვს შეწყვიტოს შეთანხმება.

შესრულებულია ქ. თბილისში 1995 წლის 12 ივლისს ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და ქართულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

რუსეთის ფედერაციის
ფედერალური კრების სახელით
ვლადიმერ შუმეიკო

საქართველოს პარლამენტის
სახელით
ედუარდ შევარდნაძე

დღეს თბილისში გაიხსნება საკაცობრიო მნიშვნელობის ფორუმი

„კულტურათა დიალოგი სოლიდარობისათვის, აგრესიულობისა და შეურიგებლობის დასაძლევად"

„როცა ხომალდი იძირება, მასზე აღარც კაპიტანია და აღარც მგზავრები..."

იუნესკოს გენერალური დირექტორი ფედერიკო მაიორი პირადად ეცნობა საქართველოს პრობლემებს

„სოლიდარობისათვის შეურიგებლობის წინააღმდეგ, კულტურათა დიალოგისათვის" საერთაშორისო ფორუმის გახსნამდე ორი დღით ადრე, თბილისში ჩამოსული იუნესკოს გენერალური დირექტორი ფედერიკო მაიორი ეწვია რამდენიმე დაწესებულებას, რომელთა საქმიანობა შედის მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციის ინტერესების სფეროში. 12 ივლისს, იგი ესტუმრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტს.

უნივერსიტეტის რექტორმა როინ მეტრეველმა მადლობა გადაუხადა ფედერიკო მაიორს იმ ზრუნვისათვის, რომელსაც იუნესკო და პირადად იგი იჩენენ მსოფლიო და, კერძოდ, ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის. მან დაწვრილებით უამბო სტუმარს ამიერკავკასიის პირველი უმაღლესი სასწავლებლის შესახებ, რომელიც აღმოცენდა უშუალოდ იმ დიდ კულტურულ ტრადიციათა წიაღში, ოდითგანვე რომ არსებობდა საქართველოში. დღეს ეს ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასწავლო და სამეცნიერო ცენტრია. 19 ფაკულტეტზე 68 სპეციალობას ეუფლება 30 ათასი სტუდენტი. უმაღლეს სასწავლებელში მოქმედებს 151 კათედრა, 60 საპრობლემო, 20 სასწავლო ლაბორატორია, რომლებშიც ამუშავებენ თანამედროვე მოწინავე მსოფლიო მეცნიერების პრაქტიკულად ყველა მიმართულებას. ქართული უნივერსიტეტი მზად არის ითანამშრომლოს სრულიად განსხვავებული საერთაშორისო ფუნდამენტური პროგრამებით, ფიზიკის, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში. უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით. კერძოდ, უმაღლესი სასწავლებელი წარმატებით თანამშრომლობს იუნესკოსთან ოკეანოლოგიის პრობლემებთან დაკავშირებით. გათვალისწინებულია შეიქმნას საქართველოში ოკეანოლოგიის დიდი სამეცნიერო ცენტრი.

უნივერსიტეტმა შესთავაზა იუნესკოს თანამშრომლობის კონკრეტული პროგრამები მიწისძვრათა, გარემოს, შავი ზღვის აუზის დაცვის, ბიოქიმიის, მათემატიკის, ბიოფიზიოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, კლასიკური ფილოლოგიის პრობლემათა დარგში. სტუმარს საჩუქრად მიართვეს საქართველოში გამოყვანილი უნიკალური ჯიშის ვერცხლისებრი ნაძვის ფოტოსურათებიანი ალბომი.

— ამ კედლებში, — თქვა ფ. მაიორმა, — თავს ისე ვგრძნობ, როგორც შინ, — რადგან თვითონ მრავალი წლის განმავლობაში ვიყავი უნივერსიტეტის რექტორი. უმაღლესი სასწავლებლის პრობლემები ჩემთვის ნაცნობია, და, ვფიქრობ, ფართო თანამშრომლობა მომავალში იუნესკოს პროგრამების ფარგლებში ორივე მხარისათვის სასარგებლო იქნება.

ფ. მაიორმა და რ. მეტრეველმა გაცვალეს იუნესკოსა და თბილისის უნივერსიტეტის სამახსოვრო მედლები — ალბერტ აინშტაინის და ივანე ჯავახიშვილის სახელობისა.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე ი. მენაღარიშვილი, საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში გ. ჩოგოვაძე, უმაღლესი სასწავლებლების პრორექტორები, ცნობილი ქართველი მეცნიერები.

შემდეგ საპატიო სტუმარი ეწვია საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას, სადაც შეიკრიბა ქართული მეცნიერების ელიტა.

სტუმარს მიესალმა მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გ. სანაძე, რომელმაც განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ ფ. მაიორი არის არა მარტო თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, არამედ გამოჩენილი ბიოქიმიკოსი, მეცნიერიც. მან მადლობა გადაუხადა ფ. მაიორს ქართული კულტურის, მისი ძეგლების, კერძოდ, ქალაქ-მუზეუმის მცხეთის, გელათის სამონასტრო კომპლექსისა და ქუთაისის ბაგრატის ტაძრისადმი ზრუნვისათვის, რომლებიც იუნესკოს გადაწყვეტილებით შეტანილია მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში. ილაპარაკა ქართული მეცნიერების ცენტრის საქმიანობის შესახებ, ორმოცდაათზე მეტ სამეცნიერო დაწესებულებას რომ აერთიანებს.

(დასასრული მე-2 გვ.)

ომის კულტურა მშვიდობის კულტურით შევცვალოთ

12 ივლისს თბილისის აეროპორტი სრული დატვირთვით მუშაობდა. დღის განმავლობაში აქ ჩამოფრინდნენ ავიალაინერები პარიზიდან, ფრანკფურტიდან, მოსკოვიდან... მათ რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოიყვანეს მსოფლიო ინტელექტუალური ელიტის 150-მდე წარმომადგენელი. ისინი მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ფორუმში „სოლიდარობისათვის შეურიგებლობის წინააღმდეგ, კულტურათა დიალოგისათვის", რომელიც 13 ივლისს გაიმართება თბილისში.

სტუმართა შორის არიან საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიისა და რუსეთის, აფრიკის კონტინენტისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და მრავალი სხვა ქვეყნის წარმომადგენლები. რუსეთის დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ნიკიტა მიხალკოვი, კირილ ლავროვი, სერგი კაპიცა, მაჰმუდ ესამბაევი, იგორ გოლემბიოვსკი, სერგი გრიზუნოვი და სხვები.

მთელ პლანეტაზე ცნობილი, მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ აღიარებული კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეები, პოლიტოლოგები, უდიდესი ფონდების წარმომადგენლები, სამართალდამცველები შეიკრიბებიან თბილისში, რათა თავიანთი ყურადღება გაამახვილონ იმაზე, თუ რაოდენ საჭიროა სოლიდარული მოქმედება ბრძოლაში აგრესიისა და შეურიგებლობის წინააღმდეგ, რასაც, როგორც გარდაუვალი შედეგი, მოჰყვება კონფლიქტები, ძალადობა, ომი. თავისი არსით, ეს არის ცდა, კიდევ უფრო დააახლოვონ ადამიანები, ომის კულტურა შეიცვალოს მშვიდობის კულტურით, როგორც ეს აღნიშნულია იუნესკოს გენერალური დირექტორის ფედერიკო მაიორის საქვეყნოდ ცნობილ კონცეფციაში. იგი ჩამოვიდა თბილისში და მიიღებს მონაწილეობას ფორუმში.

ორი დღის განმავლობაში სასტუმრო „მეტეხის" საკონფერენციო დარბაზში გაიმართება პლენარული სხდომები და დისკუსიები, რომლებზეც განიხილავენ პრობლემის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ, საზოგადოებრივ-სამართლებრივ და ინტელექტუალურ-კულტურულ ასპექტებს.

ფორუმის პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე, რომ სტუმრებს ფართოდ გააცნონ საქართველოს უძველესი კულტურული მემკვიდრეობა, ეროვნული ხელოვნების თანამედროვე მიღწევები, ღირსშესანიშნაობანი.

საქინფორმი

ხიდები

ქართული პრობლემებით შვეიცარიის ალპებში

FONDATION DU FORVM UNIVERSALE

2. ჩინეთის კედელს იქით ტაივანია

კრან-მონტანა ფორუმის ხელმძღვანელებს, საკონსულტაციო საბჭოს ყველა კონფერენციაზე ერთი მთავარი საკითხი გამოაქვთ ხოლმე განსახილველად და განსასჯელად. როგორც წესი, ეს არის რთული და მწვავე პრობლემა, რომლის მოგვარება მსოფლიოსთვის სულერთი არ უნდა იყოს, მაგრამ მიზეზთა მრავალთა გამო გვერდს უვლიან, „ვერ ამჩნევენ", როგორც ვამბობდით ხოლმე, თვითდინებაზე მიუშვებენ. თვითდინება კი ავადმყოფობასავით არის, რომელიც მკურნალის ხელს მოკლებული, ქრონიკულ და ხშირად მოურჩენელ სენად ვითარდება, შეიძლება ისე გამწვავდეს, რომ ახალმა „ცხელმა წერტილმა" იფეთქოს ისედაც სიცხიან დედამიწაზე.

კრან-მონტანა ფორუმის დამსახურებაა, რომ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს სომნამბულური მიძინების საშუალებას არ აძლევს,

(დასასრული მე-4 გვ.)

„როცა ხომალდი იძირება, მასზე აღარც კაპიტანია და აღარც მგზავრები..."

(დასასრული)

განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით შეეხო იგი აკადემიის მთელი რიგი სამეცნიერო პრობლემებისადმი იუნესკოს ფინანსურ დახმარებას, აღნიშნა, რომ ხშირად უფრო მნიშვნელოვანია არა თვით თანხის გამოყოფა, არამედ საქართველოს თანამშრომლობა ასეთ ავტორიტეტიან საერთაშორისო ორგანიზაციასთან.

შეხვედრაზე გამოვიდნენ აკადემიკოსები ლ. გაბუნია, ა. აფაქიძე, პროფესორი ნ. ჯანბერიძე, განათლების მინისტრი თ. კვაჭანტირაძე, კულტურის მინისტრის მოადგილე მ. კობახიძე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე მ. ნათობიძე, ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე ნ. ნიკოლოზიშვილი და სხვები, რომლებმაც ილაპარაკეს მომავალ თანამშრომლობაზე, მის ახალ მიმართულებებზე მშვიდობისა და პროგრესის ინტერესებისათვის. მოიყვანეს ქართული მეცნიერებისათვის იუნესკოს დახმარების კონკრეტული მაგალითები. აღინიშნა, რომ თბილისში დასახულია იუნესკოს ეგიდით გაიმართოს საერთაშორისო მრგვალი მაგიდა თემაზე: „ფიზკულტურის როლი ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაში", საერთაშორისო კონფერენცია საქართველოში დაწყებული განათლების სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით.

ფ. მაიორმ ქართველ მეცნიერებს განუცხადა, რომ დიდად აფასებს ქართული მეცნიერების პოტენციალს და ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ დაეხმაროს მას კიდევ უფრო მეტად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები ხალხების საკეთილდღეოდ. რადგან, განაცხადა მან, დიდი ლეონარდო და ვინჩის სიტყვებით თუ ვიტყვით, „როცა ხომალდი იძირება, მასზე არც კაპიტანია და არც მგზავრები, არც მდიდარი და არც ღარიბი, არც დიდი და არც პატარა — არიან ადამიანები, რომელთაც აერთიანებთ ერთი ბედი — ჩაიძირონ. სწორედ ამიტომ, თქვენი პრობლემები ჩვენი პრობლემებიცაა".

მრავალ ქვეყანას უწევს ელოდოს სხვის დახმარებას. და როგორიც უნდა იყოს ეს დახმარება, თუკი ეს უკანასკნელი იმედია, იგი ეფემერულია. თქვენს ქვეყანას ეს არ ემუქრება, თქვენ ხართ მისი ყველაზე დიდი სიმდიდრე. ჩვენ ველით თქვენგან კონკრეტულ წინადადებებს და მზად ვართ დაგეხმაროთ, როგორც ჩვენი ძალებით, ისე სხვა ევროპული სტრუქტურების მეშვეობით.

გ. სანაძემ ფ. მაიორს საჩუქრად უძღვნა ქართველ მეცნიერთა ნაშრომები, ბუკლეტები და ალბომები.

ფ. მაიორმ გ. სანაძეს გადასცა იუნესკოს ნილს ბორის სახელობის მედალი და თავისი ნაშრომების კრებული.

შემდეგ ფედერიკო მაიორი თანმხლებ პირებთან ერთად ეწვია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა რამაზ ხუროძემ სტუმარს გააცნო უნივერსიტეტის კათედრების საქმიანობა, ილაპარაკა იმ სამეცნიერო გამოკვლევათა შესახებ, რომლებიც, მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარებისა, უმაღლეს სასწავლებელში მიმდინარეობს. ბატონმა რამაზ ხუროძემ აღნიშნა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო ცენტრებთან. ამჟამად, ევროგაერთიანების ეგიდით საქართველოში იწყება ტასისის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ხელმძღვანელი კადრების და სახელმწიფო მოღვაწეების ხელახალ მომზადებას. აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილია ორი მილიონი ეკიუ. რექტორმა დასძინა, რომ უკვე გაიხსნა ამერიკული უნივერსიტეტი, რომელიც დაკომპლექტებულია ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოსული სპეციალისტებით. ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ კვლავ გაგრძელდება თანამშრომლობა უნივერსიტეტსა და იუნესკოს შორის.

პროფესორმა რამაზ ხუროძემ და იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა ხელი მოაწერეს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნას იუნესკოს ეკოლოგიური მეცნიერების და მართვის კათედრა. შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ კათედრის მიზანი იქნება ეკოლოგიური მეცნიერების და მართვის სფეროში კვლევის, სწავლების, ინფორმაციის მოპოვებისა და აღნუსხვის ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბება. იგი გახდება მაღალი დონის, საერთაშორისო აღიარების მქონე მკვლევარების, უნივერსიტეტის კვლევითი ჯგუფებისა და ევროპის რეგიონის სხვა დაწესებულებების თანამშრომლობის ხელშემწყობი ორგანო.

შეხვედრის დასასრულს, იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა უნივერსიტეტის რექტორს გადასცა იუნესკოს სამახსოვრო მედალი.

ნაშუადღევს ფედერიკო მაიორი ქუთაისს გაემგზავრა.

საქინფორმი.

• • •

სურათზე: იუნესკოსა და საქართველოს რესპუბლიკას შორის მემორანდუმზე ხელმოწერის ცერემონიალის დროს.

ბივი კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დიპლომატიური ფოსტა

მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს

მსურს გადმოგცეთ, თქვენო აღმატებულებავ, თქვენ, საქართველოს მთავრობასა და ხალხს ჩემი ულრმესი მადლობა გულთბილი მასპინძლობისათვის.

საქართველოში ჩამოსვლამ საშუალება მომცა, ახლოს გავცნობოდი თქვენი ქვეყნის შესაძლებლობებსა და პოტენციალს. ეჭვს გარეშეა, რომ ორივე ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის ჩვენს თანამშრომლობას. ეს ცხადყო საქართველოში ჩვენი ვიზიტის დროს ხელმოწერილმა მემორანდუმებმა, შეთანხმებებმა და ძალზე მნიშვნელოვანმა დოკუმენტების პაკეტმა.

დარწმუნებული ვარ, რომ ორ ქვეყანას შორის ყოველმხრივი თანამშრომლობის გაგრძელება ორივე ხალხის ინტერესების გათვალისწინებით, ერთობლივი ძალისხმევით, პრაქტიკულ ასპექტში უნდა მოხდეს.

ჩვენ გვჯერა, რომ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური განვითარება უსაფრთხოებისა და წესრიგის პირობებში გახდება შესაძლებელი. ამიტომაც, ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი მხარდაჭერა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, ეროვნული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისადმი.

ირანის ისლამური რესპუბლიკა დარწმუნებულია, რომ ორ ქვეყანას შორის ორმხრივი თანამშრომლობის პარალელურად შესაძლებელია ერთობლივი ძალისხმევით რეგიონში მრავალმხრივი თათბირებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის განხორციელება, მრავალმხრივი თანამშრომლობის ჩამოყალიბება და განვითარება, გარდა იმისა, რომ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური აყვავებისათვის ძალზე სასარგებლო და ეფექტური იქნება, აგრეთვე, განმსაზღვრელ როლს შეასრულებს, სიმშვიდის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების დამყარების საქმეში.

ვსარგებლობ შემთხვევით და კვლავ ვიწვევ თქვენს აღმატებულებას ოფიციალურ ვიზიტად ირანის ისლამურ რესპუბლიკაში.

შევთხოვ უზენაესს, თქვენი აღმატებულების ჯანმრთელობასა და წარმატებას, საქართველოს რესპუბლიკის ხალხის ბედნიერებას და კეთილდღეობას.

აქბარ ჰაშემი რაფსანჯანი,
ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი.

მის უდიდებულესობას, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

თქვენო უდიდებულესობავ!

კიდევ ერთხელ მოგახსენებთ გულითად მადლობას იმ შესანიშნავი მასპინძლობისათვის, რომელიც ჩვენს დელეგაციას საქართველოში ვიზიტის დროს გაგვიწიეთ. თქვენი მოკითხვა ჩამოსვლისთანავე გადავეცი ბატონ კანცლერს და მინისტრთა კაბინეტს.

როდესაც გესაუბრებოდით თქვენ, ღრმად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, ვესაუბრებოდი თქვენი ქვეყნის წამყვან პოლიტიკოსებს და სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქს, თვალწინ გადამეშალა იმ პრობლემათა მთელი სპექტრი, რომელთა გადაჭრაც უნდა შესძლოს საქართველომ.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ვიზიტიც ხელს შეუწყობს იმ მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებასა და განმტკიცებას, რომლებიც ჩვენს ორ ქვეყანას აკავშირებს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა შეძლებისდაგვარად კვლავაც დაუჭერს მხარს რეფორმების პოლიტიკას თქვენს ქვეყანაში, ამასთან, განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ ენერგომომარაგებას და, აქედან გამომდინარე, გარდაბნის თბოსადგურის სწრაფად ამოქმედებას. ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში, შევეცდებით დაგეხმაროთ ჰიდროელექტროსადგურების პოტენციალის რეალიზაციაში, როგორც შეგპირდით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა გამოიყენებს თავის გავლენას მულტილატერალურ დონეზე და ბრიუსელში მხარს დაუჭერს საქართველოს რეფორმების პოლიტიკას.

თქვენთან ერთად ვიმედოვნებ, რომ აფხაზეთის კონფლიქტი საბოლოოდ მოგვარდება, რათა იქაც დაიწყოს ეკონომიკური აღმშენებლობა და დამყარდეს მშვიდობა მთელ საქართველოში.

დიდად მადლობელი ვარ იმ საუკეთესო შთაბეჭდილებების გამო, რომლებიც თქვენი ქვეყნის ეკონომიკურმა და კულტურულმა სიმდიდრეებმა მოახდინა ჩემზე, იმის გამო, რომ საშუალება მოგვეცით გავცნობოდით იმ ახალ ორგანიზაციულ ფორმებს, რომელთა ფარგლებშიც ერთიანდება საქართველოს სოფლის მოსახლეობა.

გისურვებთ პირად კეთილდღეობას, ღრმად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, თქვენს ხალხს კი ვუსურვებ მშვიდობიან მომავალსა და ეკონომიკურ წინსვლას.

გულითადად მოგესალმებით თქვენი
კარლ-დიტერ შპრანგერი,
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური მინისტრი.

ქ. ბონი.

მემორანდუმი

საქართველოს რესპუბლიკისა და გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკა და იუნესკო ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებას უერთგულონ ერთა შორის თანამშრომლობის იდეალებს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და კავშირურთიერთობის მეშვეობით სამართლიანობისადმი საყოველთაო პატივისცემის, კანონის უზენაესობის, ადამიანთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განსამტკიცებლად.

საქართველომ განავითარა ახალი სახელმწიფო პოლიტიკა ცვალებადი საერთაშორისო გარემოს შესაბამისად. ეს პოლიტიკა შეიცავს თანამშრომლობას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. საქართველოს რესპუბლიკას სურს განამტკიცოს იუნესკოს თავისი ეროვნული კომისიის ეფექტიანობა ყველა დონეზე, ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე და ამ მიზნით ისწრაფვის მიიღოს იუნესკოს ადამიანების ტექნიკური და მატერიალური, მოკლევადიანი დახმარება და სასწავლო პროგრამები, იუნესკოს შეხვედრებსა და საქმიანობაში, რეგულარულ ინფორმაციის მიღებისა და იუნესკოს პროფესიულ და სამეცნიერო ქსელებში მონაწილეობის გაძლიერების საშუალებით.

იუნესკოს მანდატი, შექმნას თავისი კომპეტენციის სფეროებში ინტელექტუალური თანამშრომლობის მეშვეობით მშვიდობისა და ტოლერანტობის კლიმატი, საქართველოს მთავრობამ მიიჩნია ქვეყნისათვის დიდი პოტენციური სარგებლობის წყაროდ. ამ მიზნის მისაღწევად ხელისუფლება ცდილობს იუნესკოსაგან მიიღოს პრიორიტეტული დახმარება იმ პროგრამების ხელშესაწყობად, რომლებიც აძლიერებენ ეროვნულ ძალისხმევას შემრიგებლობის, რეაბილიტაციისა და სოციალური ჰარმონიისათვის.

თავის მხრივ, იუნესკო მნიშვნელოვნად მიიჩნევს საქართველოსთან თანამშრომლობის გაძლიერებას კულტურის, მეცნიერების, განათლების, კომუნიკაციის, ინფორმაციისა და ინფორმატიკის სფეროებში და რესურსების თავმოყრას იმ პრიორიტეტულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რომლებიც მთავრობას განსაზღვრული აქვს შემდეგნაირად:

განათლება

1. საქართველოს რესპუბლიკა განათლების, ისევე როგორც სხვა სფეროებში, განიცდის კრიზისსა და საგანგებო მოვლენების პერიოდს, რაც დაუყოვნებლივ მოითხოვს წინასწარ გრძელვადიან დაგეგმვას. ცვალებადი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პირობების გაანალიზებისას, იგი ისწრაფვის წარმოაჩინოს პრიორიტეტები რეფორმისათვის, გამოავლინოს განვითარების პერსპექტივები და წარმატებით მიიყვანოს ბოლომდე ტრანსფორმაციის პროცესი.

2. როგორც წვლილი: 1994 წლის ნოემბერში შექმნილი განსაკუთრებული ვითარების გასაადვილებლად, როცა საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მთავარი კომპიუტერული ცენტრი ხანძარმა გაანადგურა, იუნესკომ სამინისტრო მოამარაგა კომპიუტერული აღჭურვილობით და დაეხმარა მას საიმედო და ეფექტიანი საგანმანათლებლო მართვის ინფორმაციული სისტემის დაარსებაში.

3. იუნესკო გაეროს სისტემის სხვა ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით განაგრძობს დონორების ხელშეწყობას, რათა მათ საქართველოს განსაკუთრებული დახმარება გაუწიონ განათლების სფეროში, ამასთან მიაწოდონ უმნიშვნელოვანესი სასკოლო სახელმძღვანელოების დაბეჭდვისათვის აუცილებელი ქაღალდიც.

4. გრძელვადიანი რეფორმის პერსპექტივაში, იუნესკო კვლავაც გაუწევს კონსულტაციებს და დახმარება საქართველოს განათლების სისტემას 1995-96 წლებისათვის დაგეგმილი რეფორმის შესახებ მრგვალი მაგიდის მომზადებაში.

5. იუნესკო გაუადვილებს საქართველოს სპეციალისტებსა და დაწესებულებებს განათლების სისტემის განვითარების შესახებ უახლესი ინფორმაციის მიღებას და ხელს შეუწყობს მათ მონაწილეობას იუნესკოს პროგრამებსა და პროექტებში, კერძოდ, ისეთ სფეროებში, როგორიცაა: საბაზო განათლება, მასწავლებელთა სტაჟირება, სპეციალური განათლება, პროფილაქტიკური განათლება (ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება), სახელმძღვანელოების დამუშავებასა და გამოშვებაში თანამშრომლობა (მონაწილეობა შესაბამის პროგრამულ საქმიანობაში), ტექნიკური და პროფესიული განათლება (იუნივოკის პროექტი), განათლება გარემოს სფეროში (დისციპლინათაშორისი და სააგენტოთაშორისი თანამშრომლობის პროექტი: გარემო და მოსახლეობის განათლება და ინფორმირება ადამიანის განვითარებისათვის).

6. უმაღლესი განათლების სფეროში: იუნესკოს გარემოს შემსწავლელ მეცნიერებათა და მართვის კათედრა დაარსდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და დახმარება-კონსულტაციები ასევე ხელმისაწვდომი გახდება უმაღლესი განათლების რეფორმისთვისაც სწავლების, დიპლომებისა და ხარისხების აღიარება; ხარისხის შეფასება და აკრედიტაცია; განათლება და ინფორმატიკა (1996 წლისათვის დაგეგმილი განათლებისა და ინფორმატიკის შესახებ მეორე კონგრესის მომზადებასა და გამართვაში მონაწილეობის ჩათვლით).

7. საქართველო გააძლიერებს თავის მონაწილეობას იუნესკოს გაერთიანებული სკოლების პროექტში ახალი სკოლების მიერთებისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებში მათი ჩართვის საშუალებით დემოკრატიული მოქალაქეობისა და გარემოს სფეროში განათლებისათვის.

მეცნიერება და ტექნოლოგია

1. საქართველოს რესპუბლიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარებას, რომელშიც მას ტრადიციულად უპირატესობა აქვს რეგიონში.

იუნესკო და საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და სხვა კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებების მეშვეობით განავითარებენ თანამშრომლობას ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებათა სფეროში.

2. მიიღო რა მხედველობაში ენერგიის წარმოებისათვის მინიჭებული პრიორიტეტი, საქართველოს რესპუბლიკამ, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ენერგიის განახლებადი წყაროების შექმნის სამუშაოს, ამ სფეროში დააარსა ხელოვნების ცენტრი. იუნესკო გააგრძელებს საერთაშორისო ენერგეტიკული ცენტრისათვის დახმარებას, რათა საშუალება მისცეს მას კოორდინაცია გაუწიოს და ხელი შეუწყოს პროფესიულ კავშირებს შორის კვლევითსა და სასწავლო საქმიანობას და მოამზადოს დისციპლინათაშორისი საცდელი პროექტი, რომელიც აკავშირებს ალტერნატიული ენერგიის წარმოებას გარემოს დაცვის საკითხებთან და ადამიანის დასახლების დაგეგმვასთან. იუნესკო აგრეთვე ეცდება დამატებითი საბიუჯეტო წყაროების მობილიზებას, რომლებიც გამიზნულია განახლებადი ენერგეტიკული წყაროების ოპტიმალური ინტეგრაციისათვის ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში.

3. თანამშრომლობის სხვა სფეროები მოიცავენ ბიოლოგიასა და ბიოტექნოლოგიას (ბოტანიკა-2000 და გენომის პროგრამის ფარგლებში) და დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებს (სეისმურ უბედურებათა საშიშროება) და საერთაშორისო გეოლოგიური კორელაციის პროგრამაში ჩართვას (აიჯისიპი).

4. საქართველომ ჩამოაყალიბა სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც იხილავს საკითხებსა და პროგრამებს ადამიანისა და ბიოსფეროს შესახებ (მაბი), ამასთან დაკავშირებით იუნესკო დახმარებას გაუწევს მეცნიერებათა აკადემიას მაბის სუბრეგიონული სემინარის გამართვაში. გარდა ამისა, საქართველოს ამ დარგის მეცნიერები და სპეციალისტები მიწვეული იქნებიან მაბის ეროვნული კომიტეტის საერთო-ევროპულ რეგიონულ კონფერენციაზე (ევრომაბი-V 1995 წლის სექტემბერი).

5. უფრო გაფართოვდება თანამშრომლობა ზღვის შემსწავლელ მეცნიერებათა დარგში იუნესკოს სამთავრობათაშორისო ოკეანოგრაფიული კომისიის (აიოუსი) მეშვეობით. საქართველო განაგრძობს მონაწილეობას რეგიონული ოკეანოგრაფიული კომისიის შავი ზღვის თანამშრომლობის პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფს სისტემატურ დაკვირვებას, და თავის წვლილს შეიტანს რეგიონული პროგრამების შემდგომ განვითარებაში, იმ საგანგებო ექსპერიმენტული პროექტების ჩათვლით, რომლებიც შავი ზღვის ძირითად დინებებს ეხება.

6. იუნესკო დაეხმარება საქართველოს საერთაშორისო ჰიდროლოგიური პროგრამის (აიეიჩპი) სახელმწიფო კომიტეტის ჩამოყალიბებაში, ტექნიკურ დახმარებას გაუწევს სახელმწიფო წყლის რესურსებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, აგრეთვე ქართველი სპეციალისტებისათვის შესაბამისი დოკუმენტაციისა და უახლესი ინფორმაციის მოწოდებაში.

კულტურა

1. საქართველომ, როგორც მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვისა და მოვლა-პატრონობის თაობაზე კონვენციის მონაწილემ (1972 წ.), მიაღწია მის ტერიტორიაზე მდებარე ორი ისტორიული ადგილის, კერძოდ, ქალაქ-მუზეუმ მცხეთის, ბაგრატის ტაძრისა და გელათის მონასტრის რეგისტრირებას მსოფლიო მემკვიდრეობის ჩამონათვალში (დაბლიუეიჩელ) 1994 წლის დეკემბერში. იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდი უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას ამ ძეგლების მოვლა-პატრონობისათვის და ზემოხსენებულ ჩამონათვალში (დაბლიუეიჩელ) აღნიშნული ქართული ძეგლების ექსპოზიციის მოწყობას იუნესკოს შტაბბინაში გარდა ამისა, იუნესკოს ექსპერტები ადგილობრივ სპეციალისტებთან მჭიდრო თანამშრომლობით სისტემატურ ზედამხედველობას გაუწევენ საქართველოს ძეგლების კონსერვაციის მდგომარეობას.

2. საქართველოს ისტორიის ასახვისათვის 1995 წლის სექტემბერში იუნესკოს ეგიდით მოეწყობა საქართველოს გაერთიანებისა და ქუთაისის სატახტო ქალაქად გამოცხადების ათასი წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი.

3. იუნესკოს დახმარება აგრეთვე გათვალისწინებულია ისტორიულ ქალაქ მცხეთისათვის, მისი კოორდინირებული განვითარებისათვის.

4. იუნესკო ხელს უწყობს საქართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობას რეგიონულ სემინარში, რომელსაც იუნესკო გამართავს შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში კულტურულ ღირებულებათა დაცვის კონვენციის (ჰააგა, 1954 წელი) და, კერძოდ, მისი განახლების წინადადებებთან დაკავშირებით.

5. იუნესკოს რეკომენდაციებსა და დახმარებებს მოითხოვს აგრეთვე კულტურის სფერო, მისი მენეჯმენტი და ისეთი საქმიანობა, როგორიცაა საჭირო სახსრების მოპოვების სტრატეგია, საგამოფენო მენეჯმენტი და ხელოვნების დარგის მარკეტინგი, ასევე დახმარებას საჭიროებს გალერეებსა, მუზეუმებსა და კულტურის სხვა ინსტიტუტებში მომუშავე პერსონალის მომზადება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად, დახმარება რესტავრაციისა და მოვლა-პატრონობის უახლესი ტექნიკისა და კოლექციათა აღრიცხვისა და მენეჯმენტის კომპიუტერიზებული მეთოდების დაუფლებაში. გარდა ზემოხსენებულისა, ხელშეწყობას საჭიროებს სახალხო ხელოვნება, კერძოდ, ვ. ჭაბუკიანის ფონდთან ერთად სემინარის მოწყობის მეშვეობით.

კომუნიკაციები, ინფორმაცია და ინფორმატიკა

1. საქართველოს მოთხოვნილებათა საპასუხოდ, მისი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურების მოდერნიზაციისათვის საერთაშორისო კომუნიკაციების განვითარებაში აქტიური მონაწილეობის მიზნით, იუნესკო უზრუნველყოფს მოკლევადიან საკონსულტაციო მომსახურებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა რეფორმებთან დაკავშირებით, ხელს შეუწყობს საერთაშორისო პროფესიულ კავშირს, საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანამშრომელთა ურთიერთგაცვლასა და მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში. იუნესკო, გარდა ამისა, თავის წვლილს შეიტანს მშვიდობის კულტურისა და ტოლერანტობის განმტკიცებაში რეგიონული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა შორის ურთიერთობისა და დიალოგის განვითარების ხელშეწყობის მეშვეობით.

2. იუნესკოს შეიძლება ეთხოვოს დახმარება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და კომუნიკაციების ინფრასტრუქტურის მოთხოვნილებათა განსაზღვრაში, შესაბამისი პროექტების ფორმულირებაში საერთაშორისო კომუნიკაციათა განვითარების პროგრამა აიპიდიში წარდგენის ან სხვა დამატებითი საბიუჯეტო წყაროებისათვის იუნესკოს ახალი საკომუნიკაციო სტრატეგიის მიხედვით.

3. იუნესკოს სამთავრობათაშორისო ინფორმატიკული პროგრამა უზრუნველყოფს ინფორმატიკულ და ტექნიკურ დახმარებას კომპიუტერის გამოყენებისა, ინფორმატიკის სფეროში განვითარებისა და განათლებისათვის. საქართველოსთან თანამშრომლობის გაძლიერების შესაძლებლობები განხილული იქნება „რეგიონული ინფორმატიკული ქსელი აღმოსავლეთ ევროპისათვის" ფარგლებში.

4. იუნესკოს გენერალური ინფორმაციული პროგრამა საბიბლიოთეკო და საარქივო განვითარების შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფს საქართველოს შესაბამის დაწესებულებებს, საქართველო ასევე ასოცირებული იქნება იუნესკოს მსოფლიო მეხსიერების პროგრამასთან.

5. იუნესკო დახმარებას გაუწევს ორგანიზაციებს სასწავლო სემინარებში, ტექინფორმის ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში იუნესკო სიდიეს/აიესაიეს პროგრამული უზრუნველყოფის სფეროში და ასევე სიდიაროუემის ტექნოლოგიის გამოყენებაში საქართველოს ბიბლიოთეკებს, არქივებს, მუზეუმებსა და სხვა დაინტერესებულ სააგენტოებს.

საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული მეცნიერებები

1. იმის გათვალისწინებით, რომ ჰუმანიტარული მეცნიერებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კულტურული ინდივიდუალობის ჩამოყალიბებასა და დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობაში, საქართველომ და იუნესკომ უნდა გააძლიერონ თავიანთი თანამშრომლობა ამ სფეროში იმ საქმიანობის გათვალისწინებით, რომელიც ეხება ახალგაზრდობას, ქალებს და ქვეყანაში მცხოვრებ უმცირესობათა ინტერესებს. საქართველოს მონაწილეობა სოციალური ტრანსფორმაციის მართვის პროგრამაში მიზნად ისახავს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასწავლო პროგრამების განვითარებას და პროფესიული სტაჟირების ორგანიზაციას ტექნიკური და მმართველობითი შტატების ჩათვლით.

2. იუნესკო მიესალმება დასავლეთისა და აღმოსავლეთის სწავლების ცენტრის დაარსებას, რომელიც 1994 წელს შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, იგი ასევე მიესალმება მის მიზანს შეისწავლოს კავკასიაში და საერთაშორისო მასშტაბით კულტურული და ეთნიკური ურთიერთობანი.

3. საქართველომ და იუნესკომ ერთობლივად დაიწყეს საერთაშორისო ფორუმის „სოლიდარობა შეურიგებლობის წინააღმდეგ და დიალოგი კულტურისათვის" მზადება, რომელიც გაიმართება თბილისში 13-15 ივლისს და თავს მოუყრის საერთაშორისო ინტელექტუალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, რომლებიც მოწოდებული არიან მოახდინონ გავლენა მშვიდობის კულტურის დამყარებაზე, ტოლერანტობისა და კულტურათაშორის დიალოგზე.

4. სურს რა ითანამშრომლოს საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ყველა რეგიონის ქვეყნებთან, საქართველო სთხოვს იუნესკოს ითანამშრომლოს კავკასიის პოლიტიკური მეცნიერების ცენტრის შექმნაში.

5. იუნესკო დახმარებას გაუწევს საქართველოს ახალგაზრდობის დასაქმების განვითარებაში სპორტული ღონისძიებების ჩათვლით, გაეროს სისტემის სხვა ორგანიზაციებთან, შესაბამის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კავშირის დამყარებაში. ამ კონტექსტით საქართველოს ახალგაზრდული ჯგუფების ლიდერებისათვის მოეწყობა ეროვნული სასწავლო სემინარი, რომლისთვისაც იუნესკო ეცდება გამოიყოს დამატებითი საბიუჯეტო ფონდები.

6. იუნესკოსა და საქართველოს მთავრობას მიაჩნიათ, რომ ახალგაზრდა სპეციალისტებმა უნდა გაიცნობიერონ მშვიდობის კულტურის, ტოლერანტობისა და დემოკრატიული პრინციპების დიალოგი. ამიტომ იუნესკო მხარს დაუჭერს მთავრობის იმ პროექტს, რომ თბილისის მახლობლად დაარსდეს საერთაშორისო ცენტრი კულტურათა დიალოგისათვის, მშვიდობისა და ტოლერანტობისათვის ქალაქ თბილისის, აღორძინებისა და დემოკრატიის ფონდისა და ქართველ სკაუტთა ორგანიზაციის ეგიდით, რათა განხორციელდეს მეცნიერული კვლევა მშვიდობის კულტურის, ტოლერანტობისა და დემოკრატიის პრობლემებზე და უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდული ჯგუფების ლიდერთა სწავლება დემოკრატიული საზოგადოების სულისკვეთებით.

იუნესკო შეასრულებს წინამდებარე მემორანდუმში ჩამოთვლილ ვალდებულებებს საქართველოს იუნესკოს კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

შესრულებულია თბილისში 1995 წლის ივლისს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელით
ედუარდ შევარდნაძე

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის სახელით
ფედერიკო მაიორი

პარტიებსადამოძრაობებში

საქართველოს სოციალისტური პარტიისა და საქართველოს სახალხო სოციალისტური პარტიის ერთობლივი განცხადება

აღვნიშნავთ რა უკანასკნელ ხანს საქართველოში პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილიზაციისა და დემოკრატიული აღმშენებლობის გზით გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებს;

აღვიქვამთ რა ამ მიმართებით საქართველოს მოქალაქეთა კავშირის II ყრილობის გადაწყვეტილებებს, როგორც ჩვენი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს მოვლენას;

ძირითადად ვეთანხმებით რა ამ კავშირის საპროგრამო პრინციპებს, მთავარ პრიორიტეტებს, სამოქმედო გეგმებს და მივიჩნევთ მათ, როგორც პროგრესულ ნაბიჯს, გადადგმულს დამოუკიდებელი, სამართლებრივი და სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს განვითარების, ეკონომიკის აღორძინების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების განუხრელი დაცვის გარანტიათა სისტემის ჩამოყალიბების წანამძღვრად,

მიგვაჩნია რა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების თანამედროვე დასავლური სოციალისტური გზა ჩვენი ქვეყნის განვითარების ერთადერთ სწორ არჩევანად,

დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ საქართველოს მოქალაქეთა კავშირის II ყრილობამ არსებითად განსაზღვრა სმკ-ს იდეური პლატფორმა და გააკეთა არჩევანი თანამედროვე, ჭეშმარიტად თავისუფალი, სოციალურად დაცული საზოგადოების აღმშენებლობისათვის.

გულწრფელად მივესალმებით საქართველოს მოქალაქეთა კავშირის გადაწყვეტილებას სოციალისტურ ინტერნაციონალში საკონსულტაციო სტატუსით გაწევრიანების თაობაზე, რაც, ჩვენი აზრით, მძლავრი იმპულსია საქართველოში ცივილიზებული სოციალიზმის დასამკვიდრებლად.

კმაყოფილებით აღვიქვამთ სახელმწიფოს მეთაურის მხარდაჭერას ჩვენი პარტიისადმი, რაც ქვეყანაში სოციალური რეფორმების განხორციელებისა და მასში ჩვენი აქტიური და თანამიმდევრული მონაწილეობის რეალურ წანამძღვრად მიგვაჩნია.

გამოვთქვამთ იმედს, რომ საქართველოს მოქალაქეთა კავშირის დღევანდელი პოზიცია ურყევია, რაც ქმნის ჩვენს პარტიებს შორის აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობისა და მჭიდრო კოორდინაციის მყარ საფუძველს.

ერთობლივი საქმიანობა უფრო ნაყოფიერი გახდება

(დასასრული)

რაც შეეხება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში წარმოქმნილ კონფლიქტებს, მათი გადაწყვეტა რუსეთს თავის მორალურ და სამართლებრივ მოვალეობად მიაჩნია და კვლავაც მზად არის აქტიური თანამშრომლობისათვის. მით უმეტეს, რომ სეპარატიზმის პრობლემა ასევე უმწვავესი ფორმით წამოიჭრა თვით რუსეთის წინაშეც. ბატონმა შუმეიკომ სავსებით გაიზიარა რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის თამაზ ნადარეიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ აფხაზეთისა და ჩეჩნეთის კონფლიქტები, თავისი წარმოშობით, განვითარებით და შედეგებით ტყუპის ცალებივით ჰგავს ერთმანეთს, და აღნიშნა, რომ ამ მასშტაბური მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით მოიტანს შედეგს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტსაც, რომ საერთაშორისო სამართალი არასოდეს აღიარებს აფხაზეთს სუვერენულ სახელმწიფოდ, რადგან ეს ბიძგს მისცემს სხვა მცირერიცხოვან ერებში სეპარატისტული განწყობილების გაღვივებას.

შეხვედრა დასრულდა იმ იმედით, რომ ორი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით ერთობლივი საქმიანობა მომავალში უფრო ნაყოფიერი გახდება, რასაც დიდად შეუწყობს ხელს ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ვიზიტი.

იმავე დღეს რუსეთის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ შუმეიკო ესტუმრა საქართველოს პარლამენტის სპიკერს ვახტანგ გოგუაძეს. გულთბილი მისალმების შემდეგ გაიმართა საუბარი დახურულ კარს მიღმა. ამის შემდეგ ბატონი შუმეიკო შეხვდა და ესაუბრა პარლამენტის კოლეგიის წევრებს.

გამოცდილების გაზიარება — ასე შეიძლება ეწოდოს მოკლედ შეხვედრის იმ ნაწილს, რომელშიც ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ქართველ პარლამენტართა ინტერესის გათვალისწინებით, ილაპარაკა რუსეთში პარლამენტარიზმის განვითარების ძირითად მიმართულებებზე. მან ქართველ კოლეგებს შეახსენა, აგრეთვე, ფედერაციის საბჭოს შექმნის წინაისტორია და აღნიშნა, რომ სწორედ ფედერალური ხელშეკრულების გაფორმებამ გადაარჩინა რუსეთის ერთიანობა. ბატონმა შუმეიკომ განმარტა საბჭოს მონაწილეობის ხარისხი კანონშემოქმედების პროცესში, რომელიც, მისი თქმით, ეტაპობრივად მიმდინარეობს და საკმაოდ რთულია, მაგრამ ამ ეტაპზე, როდესაც ბევრი კანონი სიტუაციის შესაბამისად, სპონტანურად იქმნება, ეს სირთულე ხელს უწყობს მათ მაქსიმალურად დახვეწასა და სრულყოფილი ფორმით ჩამოყალიბებას.

ბატონმა შუმეიკომ პარლამენტართა ყურადღება მიაპყრო რუსეთში განვითარების გარდამავალი ეტაპისათვის დამახასიათებელ მომენტებს, რომლებიც ასევე სერიოზულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, კერძოდ, საკუთრების ფორმის შეცვლასთან, ხელისუფლების გადანაწილებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აქვე მან გამოთქვა მოსაზრებები საქართველოს კონსტიტუციის ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით.

შეხვედრის დანარჩენი ნაწილი დაეთმო უშუალო დიალოგს სტუმარსა და საქართველოს პარლამენტის წევრებს შორის, რომლის ძირითადი თემა, ბუნებრივია, კვლავ საქართველოს დროებით დაკარგული ტერიტორიების, ლტოლვილთა დაბრუნების პრობლემა იყო.

ამ საინტერესო კოლეგიალურ შეხვედრას მოჰყვა დღის მთავარი მოვლენა — პარლამენტის მიღებათა დარბაზში გაიმართა რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრებისა და საქართველოს პარლამენტის საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობის შეთანხმების ხელმოწერის საზეიმო ცერემონია. შეთანხმება თავიანთი ხელმოწერებით დაადასტურეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ და რუსეთის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარემ ვლადიმერ შუმეიკომ.

— ეს არის დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენს სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის განვითარებას, — განაცხადა ბატონმა შუმეიკომ დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ. — ეს კი იმას ნიშნავს, რომ უფრო აქტიურად განვითარდება პოლიტიკური ინტეგრირების პროცესიც. ამიტომაც ჩვენ არ ვმალავთ, რომ დაინტერესებული ვართ ერთმანეთით და ამ შეთანხმების ხელმოწერით სწორედ ჩვენი თანამშრომლობის აუცილებლობას ვადასტურებთ.

ბატონი ედუარდ შევარდნაძის შეფასებით კი, ეს უაღრესად საჭირო დოკუმენტი, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს თ ვმჯდომარის ვიზიტს, მოაწესრი გებს ურთიერთობას ორი ქვეყნ პარლამენტთა შორის. — მე ველობაში მაქვს როგორც ამჟამ ნდელი პარლამენტი, რომელსა მე ვხელმძღვანელობ, ასევე მ მავალიც, რომელსაც ამ შეთან მებით კარგ, საიმედო საფუძვე ვუქმნით, — განაცხადა სახელ წიფოს მეთაურმა — ეს არ ყოველივე იმის კეთილი დას რული, რაზეც მოვილაპარაკ ბატონი ელცინის თბილისში ვ ზიტის დროს.

საზეიმო ცერემონიის დასრ ლების შემდეგ ბატონი ვლადიმე შუმეიკო თელავს გაემგზავრა, სთან ერთად გაემგზავრნენ ბ ტონი ედუარდ შევარდნაძე, საქ რთველოს საგანგებო და სრულ უფლებიანი ელჩი რუსეთის ფ დერაციაში ვაჟა ლორთქიფანიძე სხვა ოფიციალური პირნი.

საქინფორმი

ხიდები

ქართული პრობლემებით შვეიცარიის ალპებში

2. ჩინეთის კედელს იქით ტაივანია

(დასასრული)

აფხიზლებს, დააფიქრებს, გარკვეულ დასკვნებამდე მიჰყავს, საერთო პოზიციამდე, რომელიც ზემოთ ნათქმულ რისკ ფაქტორთა დახაცხრობს სასტარტო საფეხურად შეიძლება გამოდგეს.

ასე იყო შარშანდელ კონფერენციაზე, როდესაც ირანისა და დარჩენილი მსოფლიოს ურთიერთობის საკითხი შემოგვთავაზეს, ასე გახლდათ ამ ზაფხულს, როდესაც ტაივანის საკითხი ჩართეს დღის წესრიგში.

ასეთ საკითხებს განიხილავენ, უპირველეს ყოვლისა, ლოიალურ ტონალობაში, წამახული კუთხეების გვერდის ავლით და ყოველგვარი დიდაქტიზმის გამორიცხვით. იდეა ასეთია: მოისმინეთ, განსაჯეთ, გამოთქვით თქვენი დამოკიდებულება, რომელიც ვინძლო წაადგეს პრობლემის მოგვარებას.

რა პრობლემებისას?

ირანის შემთხვევაში ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ირანის გამწვავებული ურთიერთობა; ამ ბოლო დროს კი — კონტინენტური ჩინეთისა და ტაივანის გაერთიანების პრობლემა. აქაც დაპირისპირება, საკმაოდ მწვავე.

ერთი სიტყვით, კრან-მონტანა ფორუმზე ისეთ გარემოს ქმნიან, როდესაც მონაწილეებს ობიექტური ანალიზის საშუალება ეძლევათ. ერთ-ერთმა ორგანიზატორმა კამათის დაწყების წინ თქვა: ჩვენ მოვამზადეთ ფეხბურთის მოედანი და ფეხბურთელებს თავიანთი თამაშის უფლებასა და საშუალებას ვაძლევთო.

სხვანაირად — ჰა, ბურთი, ჰა მოედანიო!

ისტორიული წიაღსვლა:

1949 წლიდან, მას შემდეგ, რაც შეიქმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, უზარმაზარი ქვეყანა ორ, იდეოლოგიით და ეკონომიკით, პოლიტიკური და სოციალური წყობით ერთმანეთისგან განსხვავებულ დიდ და მცირე ნაწილად გაიყო. და იმ დღიდან შემოერთებისა თუ გაერთიანებისკენ მისწრაფება ორივე ნაწილს სხვადასხვა ფორმით არაერთხელ გამოუხატავს, ორივეს თავისი პოლიტიკური წყობის დროშით. იყო სამხედრო კონფლიქტებიც. დღეს აქ ერთმანეთს აღარავინ ეომება, მაგრამ ორივე მხარე, განსაკუთრებით კონტინენტური ჩინეთი ძალიან მძაფრად განიცდის მესამე ქვეყნების მიერ ტაივანთან ყოველგვარი კავშირის დამყარებას.

80-იანი წლების ბოლოს მაინც გატყდა ნავსი და ორმოცწლიანი გაუცხოების პერიოდი დამთავრდა.

მაგრამ დარჩა წინააღმდეგობანი, ჭერჭერობით გადაულახავი, მთავარი მათ შორის გაერთიანების ამოსავალი პრინციპისადმი განსხვავებული მიდგომა გახლავთ. 1984 წელს ჩინეთის ლიდერმა დენ სიაოპინმა ჩამოაყალიბა გაერთიანების კონცეფცია: „ერთი სახელმწიფო — ორი წყობილება", რომელსაც ტაივანმა — „ერთი ჩინეთისა და ორი თანაბარუფლებიანი პოლიტიკური სუბიექტის" თავისი პოზიცია დაუპირისპირა.

ნიშანდობლივია, რომ ორივე მხარეს ერთიანი ჩინეთი ისტორიულ, გეოგრაფიულ, კულტურულ და ეთნიკურ მთლიანობად წარმოუდგენია, ხოლო ცალ-ცალკე არსებობა, დროებით მოვლენად.

ის, რაც წაიკითხეთ, მათი პრობლემებია. იკითხავთ, რით დაგვაინტერესა ტაივანმა?

ჯერ ერთი, იმით, რომ მის შესახებ ინფორმაციის დიდი დეფიციტის პირობებში მაქსიმალურად შესაძლებელი გავიგეთ, რაც თავისთავად ცოტას არ ნიშნავს, და, მეორე, რამდენიმე საინტერესო მომენტი გამოიკვეთა ტაივანის გამოცდილების ჩვენს რესპუბლიკაში გამოყენების თვალსაზრისით, თუნდაც იმ კუთხით, თუ რას შეიძლება მიაღწიოს ეკონომიკურად ჩამორჩენილმა რეგიონმა გარკვეული პირობების შესრულების შემთხვევაში.

ინფორმაციის წყარო ჩვენთვის იყო 28 ივნისს გამართული 2 პლენარული სხდომა, რომლებზეც ტაივანის, როგორც თვითონ უწოდებენ თავიანთ ქვეყანას — ჩინეთის რესპუბლიკის მაღალი რანგის მოხელეები უძღვებოდნენ. ეკონომიკის მინისტრი პეკ ჩანგი, მწარმოებელთა საზოგადოების პრეზიდენტი ჯეფრი კუ, კონტინენტურ ჩინეთთან ურთიერთობის საკითხთა საბჭოს თავმჯდომარე, ქვეყნის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (ეს სტრუქტურა უფრო საკოორდინაციო არისო, არ დააზუსტეს განმარტება) ჩი' ცუ.

ამდენად სანდო უნდა იყოს მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

80-იანი წლებიდან ტაივანმა დააჩქარა ეკონომიკური ლიბერალიზაციის, საზოგადოების პლურალიზაციისა და პოლიტიკური სფეროს დემოკრატიზაციის პროცესი. შედეგად სწრაფადვე შეიცვალა ჩინეთის რესპუბლიკის (ტაივანის) ეკონომიკაც და სოციალური სფეროც.

თუ 40 წლის წინათ ერთ სულ მოსახლეზე 40 დოლარი მოდიოდა, ამჟამად — 12.000 დოლარია. სახელმწიფო სავალუტო რეზერვმა 100 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, რაც მსოფლიოში მეორე ადგილს ნიშნავს.

„40 წლის მანძილზე თავგანწირული შრომით, რომელიც მიმართული იყო ეროვნული აღორძინებისაკენ, ჩინელმა ხალხმა და რესპუბლიკის მთავრობამ შეძლეს ტაივანზე ქვეყნის ისტორიაში პირველი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა და მიაღწიეს არნახულ ეკონომიკურ აყვავებას", — ასე ხსნიან თავიანთი წარმატების მიზეზს ტაივანელები, თავგანწირული შრომითო. ერთ-ერთი გამომსვლელი იმასაც დაუმატებს, რომ 37-ე წელია ვმუშაობ და არც ერთხელ არ დამისვენიაო.

ამბიციური მიზნებიც გაუჩნდათ, მიაჩნიათ, რომ კუნძულის პერიფერიულობიდან ტაივანი იქცა ცენტრად, რომელიც მთელი ჩინეთის განვითარების სამომავლო გზას განსაზღვრავს.

ერთიანად მთელი ჩინეთის! აქვთ პრეტენზია ლიდერობის, მაგრამ ამ თავის მისწრაფებას საკმაოდ რბილი და უეჭველ და ტაქტიანი ფორმით აყალიბებენ.

მოუსმინეთ:

„მოვუწოდებთ პეკინს დააჩქაროს ეკონომიკური გარდაქმნათა ტემპი და განახორციელოს რადიკალური პოლიტიკური რეფორმა";

„ვიმედოვნებთ, რომ ჩინეთი იქცევა ისეთ ქვეყნად, რომელშიც განვითარებას პოვებს ჩინეთის კულტურის ტრადიციები";

„ჩვენ მზად ვართ განვავითაროთ სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა ურთიერთ შევსებისა და ურთიერთსასარგებლო პრინციპებზე დაყრდნობით". აი, ასეთ ტონალობაში.

სიტყვამ 'მოიტანა და ვთქვათ, რომ ამ ფორუმზე ყველაზე მეტად „საგინებელ სიტყვად" ყოფილი კომუნისტური რეჟიმის მიმართ იხმარეს ტერმინი კოლექტივისტური საზოგადოება. მწარე გამოთქმების მიტინგური კარნავალი აქ მოდაში არ არის, რადგან ჰაერის რხევის გარდა არავითარი შედეგი არ მოაქვს. მშობლიური პარლამენტის წევრები კი მაინცა და მაინც ასეთ ეფექტებზე „მუშაობენ": ამიტომაც მივიწევთ წინ საერთო სიხარულის ფონზე.

— ჩვენ არ ვაპირებთ პეკინის ადგილის დაკავებას საერთაშორისო ორგანიზაციებში, როდესაც მოვითხოვთ ჩვენს კუთვნილ ადგილს. — თქვა ერთ-ერთმა გამომსვლელმა, — და იმედს არ ვკარგავთ, რადგან ჩვენი არსებობა ფაქტია, ჩვენი იგნორირება არ შეიძლება, ჩვენი კეთილი ნება ყველასთვის ნათელია.

დისკუსიის წამყვანმა შეუქო ასეთი პოზიცია ტაივანის წარმომადგენლებს, — **მიხარია, რომ კონტინენტური ჩინეთის უარყოფას კი არ ცდილობთ, არამედ, საკუთარ სუვერენიტეტზე ლაპარაკობთ.**

პასუხი: — ჩვენ გვსურს კონტინენტურ ჩინეთთან გაერთიანება, მაგრამ, ეტაპობრივად, იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთი დემოკრატიული ქვეყანა გახდება (ფორუმზე გავრცელებულ პრესრელიზში ეწერა, რომ ეს გაერთიანება უნდა მოხდეს მშვიდობიანად, დემოკრატიულ საფუძველზე). ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის დიდი სხვაობაც, რომელიც ჩვენი ქვეყნების ეკონომიკასა და სოციალურ სფეროშია.

— მაშასადამე, თქვენ არ აპირებთ გაერთიანებას ისე, როგორც ეს მოხდა გერმანიაში, სადაც 7 მილიონმა მდიდარმა 21 მილიონი ღარიბი შეიერთა? თქვენ 21 მილიონი მდიდარი მცხოვრები გყავთ, ჩინეთში 1 მილიარდი ღარიბია. რა სახის გაერთიანებაზე ლაპარაკობთ, ისეთზე, როგორიც გერმანიამ განახორციელა, თუ ისეთზე, როგორიც კანადაშია (კვებეკი)?

— ისეთზე, როგორიც გერმანიაშია, ვიეტნამში, კორეაში.

— გაერთიანება თუ დიქტატურით დამთავრდა, ძნელი იქნება მომავალზე ლაპარაკი.

— მართალია, ამიტომ გაერთიანება უნდა მოხდეს დემოკრატიულ საწყისებზე, — ხაზს უსვამენ ტაივანის წარმომადგენლები.

— ფიქრობთ თუ არა, რომ ტაივანის ინვესტიციები კონტინენტურ ჩინეთში ხელს უწყობს გაერთიანებას?

— შექმნილი სიტუაცია მოითხოვს თანამშრომლობას, მათ სჭირდებათ ჩვენი ფული, ნოუ-ხაუ, ტურისტები. უკვე დაწყებული გვაქვს თანამშრომლობა და მზად ვართ მრავალმხრივი ეკონომიკური ურთიერთობებისთვის. განზრახული გვაქვს 50 ათასზე მეტი საწარმო გადავცეთ ჩინეთს. ეს მათ საშუალებას მისცემს უშუალოდ ითანამშრომლონ ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

აქ მცირე განმარტებაა საჭირო. ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობა, როგორც ცნობილია, ინდოჩინეთს, ტაივანსაც ეფექტიანად იყენებდა თავის წარმოებაში დასასაქმებლად — უზრუნველყოფდა ტექნოლოგიებით, ტექნიკით და იაფი მუშახელის მეშვეობით აქ ქმნიდა თავისი პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს. ტაივანის მიერ ჩინეთისთვის ასეთ საწარმოთა გადაცემა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკურ თანამშრომლობას განავითარებდა. ამას გულისხმობდა ზემოთ გაცემული პასუხი.

მოდით, მივყვეთ ამ კითხვა-პასუხს, რომელიც საკმაოდ საინტერესო გამოდგა, ჩემის აზრით, და ტაივანის ეკონომიკური მოდელის მონახაზი მაინც გამოჩნდება, მით უფრო, რომ ერთ-ერთი შეკითხვა სწორედ ამაზე იყო: შეიძლება თუ არა ტაივანის ეკონომიკურ მოდელზე საუბარი? ტაივანის ეკონომიკური აღზევება ხომ წვრილი საწარმოების განვითარების წყალობით მოხდა.

— ტაივანის ეკონომიკის წარმატების — სწრაფი განვითარებისა და სტაბილური შემოსავლის მთავარი წყარო არის მოსახლეობა, კერძოდ, მთავრობა, საქმიანი ხალხი და მუშები, — **იყო პასუხი.**

მთავრობა განახორციელებს სწორ პოლიტიკას, ყოველთვის ითვალისწინებს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს და ხელს უწყობს მეწარმეთა საქმიანობას, ბიზნესს.

ბიზნესმენები განახორციელებენ ახალ იდეებს ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ტაივანზე მართლაც არის მცირე და წვრილი საწარმოების დიდი რაოდენობა, რაც ჩვენი ეკონომიკის ხერხემალი გახლავთ.

უმნიშვნელოვანესია მუშათა შრომის მაღალი ხარისხი და ეროვნული თვითშეგნება.

ყველაფერ ამის ერთობლიობამ ეროვნული პროდუქტი 40 წელიწადში 400 მილიონი დოლარიდან 7 მილიარდ დოლარამდე გაზარდა.

იაპონიაში მსხვილმა გაერთიანებებმა დაიპყრო ბაზარი. ჩვენთან — პირიქით. ყოველი ახალგაზრდა კაცი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საკუთარი საქმის გახსნას ცდილობს და კიდეც ხსნის. ჩვენთან ქვა რომ გადააგდო, ჩონს ან ჩინს კი არ მოხვდება, არამედ პრეზიდენტს, თავმჯდომარეს ან გენერალურ დირექტორს, იმდენად არიან გამრავლებულები.

უკვე ბევრი საწარმოს იმპორტირება მოახდინეს კონტინენტურ ჩინეთში. ფეხსაცმლის წარმოება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში გადაიტანეს. პარალელურად განავითარებენ კომპიუტერული ტექნიკის დამზადებას. 1994 წელს 12 მილიონი დოლარის ღირებულების ასეთი პროდუქცია შექმნეს, გაისად 15 მილიონამდე გაზრდიან.

— თუ ასე კარგად გაქვთ საქმე, რატომ გეშინიათ უცხოური ინვესტიციების შემოტანის?

— ასე არ არის საქმე. 20 მილიარდი დოლარის ინვესტიციები მივიღეთ იაპონიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ევროპიდან...

— მაშ, რატომ არ შეიძლება ტაივანის კომპანიების აქციების ყიდვა უცხოელებისათვის? (ჩაკეტილი ეკონომიკა. — ა. ს.).

ტაივანელებმა აღიარეს, რომ არის გარკვეული შეზღუდვები მათი, ზედმეტად კონსერვატიული (ეროვნულობის დაცვის თვალსაზრისით) პოზიციებისა გამო. მაგრამ გაისად უკვე მოხსნიან ამ შეზღუდვებს, თუმცა, განუსაზღვრელი რაოდენობით აქციებს, რა თქმა უნდა, არ გაჰყიდიან. აქ უკვე სტრატეგიული მოსაზრებები ერთვება საქმეში: არ სურთ, რომ უცხოურმა ინვესტორებმა გააკონტროლონ მათი ეკონომიკა. ამიტომ აწესებენ ზღვარს—არა უმეტეს 12 პროცენტისა.

— გაუგებარია, ქვეყანას, რომელსაც 100 მილიარდ დოლარზე მეტი აქვს სახელმწიფო სავალუტო რეზერვი, არ გააჩნია სრულად მონაცვლე ვალუტა.

— თითქოს გვიგებენ და გვეთანხმებიან, რომ კარგად ვიმუშავეთ, დავაგროვეთ სახსრები და ახლა რად გინდათ ამდენი დოლარი, გვისაყვედურებენ. შევქმენით ეროვნული დოვლათი და ასეთი კითხვის დასმა ჩვენთვის გაუგებარია.

— არა რად გინდათ, არამედ — როგორ უნდა გამოიყენოთ? — დაუზუსტეს შეკითხვა.

— ვეხმარებით სხვა ქვეყნებს. სპარსეთის ყურის ომის დროს იმ ქვეყნებს ერთი მილიარდი დოლარი მივეცით. **(აი, საიდან შეიძლება ჩვენი ეკონომიკის ინვესტირება. — ა. ს.).**

— სრულად მონაცვლე ვალუტა?

— ეკონომიკამ უნდა დააგროვოს ქვეყნის სიმდიდრე. ჩვენი სავალუტო რეზერვი არის ჩვენი ქვეყნის მსყიდველობითი ძალა, რომელიც გვჭირდება კვლავწარმოებისათვის. ვიცით, რომ მსოფლიო ბაზარზე ბატონობს დოლარი, მაგრამ აზიის ქვეყნებში ჩვენი ფულის გამოყენებაც შეგიძლიათ. ვალუტის ინტერნაციონალიზაცია პირობითი საქმეა. რომელიც ცვალებადია დროში, ჩვენი ვალუტა ინტერნაციონალიზაციის სტადიას გადის.

• • •

დავსვამთ აქ წერტილი, რადგან საკითხთა რაოდენობა ამ წერილის მოცულობას ბევრად ჭარბობს: იყო საუბარი კომპიუტერიზაციასა და კომპიუტერული ტექნიკის წარმოებაზე, კავშირგაბმულობაზე, ინფორმაციის ცენტრად ტაივანის ჩამოყალიბებაზე, კონკურენტუნარიანობის შესაძლო დაცემაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე და ასე შემდეგ.

თუ რამ ახალი შეიტყვეთ ამ ჩანაწერებიდან ტაივანის შესახებ, გამართლებული ყოფილა პუბლიკაცია, თუ რამ ჩვენს ნიადაგზე გადმოსაღები, ან პერსპექტიული ურთიერთობის თვალსაზრისით სასარგებლო ამოიკითხა ვინმემ — უკეთესი.

რაც შეეხება ქალების მონაწილეობის საკითხს ხელისუფლებაში, რამაც ასე პრინციპულად გაიჟღერა სულ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მეორე ყრილობაზე, ტაივანში გამოცდებით ადგენენ მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა ამ საქმისათვისვარგისიანობას. თქვენ, რომ ქალები გამოცდებს მამაკაცებზე უკეთ აბარებენ და ამიტომაც მთავრობაში ბევრი ქალი ჰყავთ.

ჩვენთან ქალის ძალა ჭარბობსო — ჩინეთის რესპუბლიკაში, ტაივანზე.

ჩვენთან?

დავუთმოთ პასუხის უფლება ქალებს.

არმაზ სანებლიძე,
„ხრ" სპეც. კორ.
კრან-მონტანა — თბილისი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

გროზნო: მოლაპარაკება გრძელდება

11 ივლისს 7 თვე შესრულდა ჩეჩნეთში რუსეთის ფედერალური ჯარების შესვლიდან. ბუდიონოვსკის ტრაგედიის შემდეგ, 21 ივნისს დაწყებული მოლაპარაკება ჩეჩნეთის კრიზისის მშვიდობიანი მოწესრიგების თაობაზე რუსეთის სამთავრობო დელეგაციასა და ჩეჩენ სეპარატისტთა დელეგაციებს შორის გრძელდება. რუსეთის სამთავრობო დელეგაციამ ჩეჩენთა, ახალი მთავრობისა და სეპარატისტების დელეგაციებმა ორშაბათს ხელი მოაწერეს ერთობლივ კომუნიკეს. გადაუჭრელი რჩება ჩეჩნეთის სტატუსის საკითხი. რუსეთის მხარე ამ საკითხის ნოემბრის არჩევნების შემდეგ გადაწყვეტას სთავაზობს. სამშვიდობო მოლაპარაკების ფარგლებში პირველად შეხვდნენ ერთმანეთს სეპარატისტთა და ჩეჩენთა ახალი ხელისუფლების დელეგაციები. შეთანხმდნენ რიგ საკითხებზე. კერძოდ, კოალიციურ მთავრობაში ადგილების განაწილებაზე. სამშაბათს, ჩეჩნეთის სეპარატისტთა დელეგაციამ რუსეთის მხარეს გადასცა დოკუმენტი, რომლითაც სთავაზობს ჩეჩნეთის სტატუსის გადაწყვეტას დუდაევის რეჟიმის დროს 1991 წელს მიღებული კონსტიტუციის საფუძველზე. ამ საკითხზე რუსეთის სამთავრობო დელეგაციას შემუშავებული აქვს თავისი მტკიცე პოზიცია. როგორც რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა გროზნოს მოლაპარაკებაზე, ვიაჩესლავ მიხაილოვმა განაცხადა, მოლაპარაკების მონაწილენი გადამწყვეტ „მიჯნასთან მივიდნენ". თავისი პოზიცია დელეგაციამ შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები ადასტურებენ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ჩეჩნეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტს, ხოლო ჩეჩნეთის შემდგომი სტატუსი განისაზღვრება ჩეჩნეთში არჩევნების, რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების ჩამოყალიბების შემდეგ, რომელიც დაეფუძნება ორ სახელმწიფოს შორის დადებულ ხელშეკრულებას, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას და ჩეჩნეთის ახლად მიღებულ კონსტიტუციას.

მოელიან მემარცხენე ძალების წარმატებას

რუსეთში დეკემბრის პარლამენტის არჩევნებთან და მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, რუსეთში გამოთქვამენ მრავალ მოსაზრებას, თუ ვინ და რომელი პოლიტიკური ძალა მიაღწევს წარმატებას. რუსეთში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსი ნიჟნი-ნოვგოროდის ოლქის გუბერნატორი ბორის ნემცოვი არ გამორიცხავს დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებში კომუნისტებისა და სხვა მემარცხენე ძალების წარმატებას, თავის პროგნოზს იგი სოციოლოგიური ანალიზის მონაცემებით ასაბუთებს. ახლახან ტელეინტერვიუში ნემცოვმა აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში მემარცხენე ძალები უნარიანად იყენებენ მოსახლეობის ფართო მასების უკმაყოფილებას ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით და მათი ცხოვრების დონის მკვეთრად დაცემასთან დაკავშირებით. ვოლგისპირეთის ეს მსხვილი რეგიონი, აღნიშნა ნემცოვმა, რეფორმების მსვლელობაშიც დიდ სიძნელეებს აწყდება, გარკვეული ძვრებია სოფლის მეურნეობისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სფეროში. დახმარებას უწევენ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მცირეშემოსავლიან მოქალაქეებს და მრავალშვილიან ოჯახებს.

მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით გარკვეულ შეშფოთებას გამოთქვამს რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე გიორგი სატაროვი, მას მიაჩნია, რომ ყველა დემოკრატიულმა პარტიამ უნდა გაითვალისწინოს პარლამენტის მომავალ დეკემბრის არჩევნებში ისეთი ძალების გამარჯვების შესაძლებლობა, რომლებსაც სურთ არა მარტო რეფორმების კურსის, არამედ მთელი პოლიტიკური სისტემის შეცვლა. გიორგი სატაროვმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს არჩევნებში რეფორმების მომხრეთა წარმატების უზრუნველსაყოფად ახლახან შექმნილი მემარჯვენე-ცენტრისტული ბლოკის — „ჩემი სახლი რუსეთია" საქმიანობას, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი მეთაურობს. სატაროვმა აღნიშნა აგრეთვე, მემარცხენე-ცენტრისტული ბლოკის „თანხმობის" მნიშვნელობა, რომელიც იქმნება პარლამენტის ქვედა პალატის სპიკერის ივანე რიბკინის მეთაურობით, ამასთანავე სატაროვმა აღნიშნა დემოკრატიული ძალების „საკვირველი გათიშულობა" რომელიც, კერძოდ, გამოვლინდა ბლოკ „იაბლოკოს" (რომელსაც ცნობილი ეკონომისტი გრიგოლ იავლინსკი თავკაცობს) და პარტია „რუსეთის დემოკრატიული არჩევანს" (რომელსაც სათავეში ეგორ გაიდარი უდგას) შორის.

რუსეთის ათი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი

მოსკოვში, სტრატეგიული ანალიზისა და პროგნოზის ხელმძღვანელებმა პრესკონფერენციაზე გამოაცხადეს, რომ რუსეთის ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსთა ათეულს (დეკემბრის საპარლამენტო არჩევნების წინ) პრეზიდენტი ბორის ელცინი, პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი და მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი უდგანან სათავეში. მათი აზრით, სენსაციური შეიძლება იყოს რუსეთის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის პრეზიდენტის, ჩეჩნეთის სამშვიდობო მოლაპარაკების სამთავრობო დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილის არკადი ვოლსკის „მკვეთრი აღზევება".

დაამტკიცეს უცხოეთის სახელმწიფოებისადმი დახმარება

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ დაამტკიცა საზღვარგარეთის სახელმწიფოებისადმი ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების პროგრამა. შარშანდელთან შედარებით თანხები 11 პროცენტით არის შემცირებული და 20 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე ამას პრეზიდენტი ბილ კლინტონი მოითხოვდა. არ შემცირებულა დახმარება მხოლოდ ორი სახელმწიფოსადმი—ისრაელისა და ეგვიპტისადმი, რომლებიც, როგორც წესი, საერთო თანხის 40 პროცენტს იღებენ.

ბოსნია-ჰერცოგოვინაში ვითარება სახიფათოდ იძაბება

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს სამშვიდობო ძალებმა გააფრთხილეს ბოსნიელი სერბები, რომ ნატოს ავიაცია დარტყმებს მიაყენებდა, თუ ისინი არ შეწყვეტდნენ შეტევას რესპუბლიკის აღმოსავლეთით მდებარე მუსლიმანურ ანკლავ სერებრენიცაზე, რომელიც „უსაფრთხოების ზონად" არის გამოცხადებული (იქ გაეროს სამშვიდობო კონტინგენტის ჰოლანდიელთა ქვედანაყოფია განლაგებული), სერბთა ჯარებმა ჯერ 48-საათიანი ულტიმატუმი წაუყენეს მოსახლეობას დაეტოვებინათ ქალაქი. შემდეგ აიღეს იგი. გაეროს სამშვიდობო ძალების თხოვნით ნატოს ავიაციამ ბოსნიელ სერბთა ტანკებს დაარტყა, მაგრამ ბოსნიელთა მუქარის გამო, რომ დახვრეტდნენ გაეროს სამშვიდობო ძალების დატყვევებულ 30 ჯარისკაცს, ნატოს ავიაციამ მოქმედება შეწყვიტა.

ბოსნიელ სერბთა მოქმედებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია. გაეროს უშიშროების საბჭო საგანგებოდ იხილავს შექმნილ ვითარებას. საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა განაცხადა, რომ თუ გაერო თხოვს, საფრანგეთის ჯარები გაათავისუფლებენ სერებრენიცას. ბოსნიელ სერბთა მოქმედება მკაცრად დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მაიკლ მაკკერიმ, მან მოითხოვა დაუყოვნებლივი ზომების მიღება. აღშფოთება გამოთქვა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჯონ მეიჯორმა. სასწრაფოდ მოიწვიეს „საერთაშორისო საკონტაქტო ჯგუფის" სხდომა, რომელშიც შედიან ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი, ინგლისი, გერმანია და საფრანგეთი. ამ ჯგუფმა შეიმუშავა ბოსნიის კრიზისის მოწესრიგების გეგმა, რომელსაც ბოსნიელი სერბების ხელმძღვანელობა არ ეთანხმება.

ფაქტობრივად, კითხვის ქვეშ დადგა საერთაშორისო გაერთიანების პრესტიჟი, მისი უნარი გადაჭრას პრობლემები, რომლებიც საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას.

ბოლო ცნობით, ბოსნიელი სერბების ჯარებმა იერიში მიიტანეს რესპუბლიკის აღმოსავლეთში მუსლიმანთა მეორე ანკლავზე — ქალაქ ჟეპაზე, რომელიც აგრეთვე გაერომ უსაფრთხოების ზონად გამოაცხადა. ვითარება, როგორც ხედავთ, სახიფათოდ იძაბება.

სინამდვილე კი ასეთია

აფხაზეთის მოსახლეობა: ისტორია და თანამედროვეობა

ახლა საჭიროა უკვე ითქვას მთავარი. თუ XV საუკუნემდე საკმაოდ ბევრი უცხოელი ავტორი აფხაზეთს ქართულ მიწა-წყლად თვლის, ხოლო იქ მცხოვრებ მოსახლეობას ქართველებად, XV საუკუნის შემდეგ უკვე უცხოელი ავტორები აფხაზეთის მოსახლეობას ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსულებად მიიჩნევენ. მართლაც, ამ პერიოდიდან იწყება სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ინტენსივობით აფსუების ჩამოსახლება აფხაზეთში ჩრდილოეთ კავკასიიდან. პროფ. თ. მიბჩუანს ამის მრავალი მაგალითი მოაქვს, რომელთაც ჩვენც დავიმოწმებთ, კერძოდ, რუსეთის ისტორიის მამად წოდებული ვ. ტატიშჩევი (1686-1750 წ.წ.) წერდა: „სამეგრელოს ჩრდილოეთ ნაწილს თურქები და ყაბარდოელები აბხაზოსს, ხოლო ჩვენი წინაპრები ობეზის უწოდებდნენ. ამჟამად ამ ტერიტორიის დიდ ნაწილში ყუბანელები ცხოვრობენ". ამ ყუბანელებში აფსუები იგულისხმებიან. როგორც ი. ფადეევი აღნიშნავს, აშუბას გვარის წარმომადგენელი მოხუცი აფხაზები ამბობენ, რომ მათი წინაპრები პსხუდან ჯგერდაში ჩამოსახლდნენ. საერთოდ გადაადგილებებსა და საცხოვრებელი ადგილის შეცვლაზე აფხაზებში ფართოდ გავრცელებულია გადმოცემები. ა. დიაჩკოვ-ტარასოვის მიხედვით, „აფხაზები ყოველთვის როდი ბინადრობდნენ იქ, სადაც ამჟამად ცხოვრობენ. ისინი მოვიდნენ ჩრდილოეთიდან და შეავიწროვეს ქართველი ტომები". ცხადია, ამ აფხაზებში აფსუები იგულისხმებიან. ფრანგი კონსული ჟ. გამბა კი აღნიშნავს, რომ „ეს აფხაზები სხვა წარმოშობისაა, ვიდრე ისინი, რომელთაც მე ადრე ვიცნობდიო". XVIII საუკუნის თურქი მოგზაურის ევლია ჩელების აზრით კი „ქრისტიანი აფხაზები ქართველებია, წარმართი აფხაზები — ჩრდილოეთ კავკასიელები". ასეთივე აზრი გამოთქვა XIX საუკუნეში დუგლას ფრეშფილდმა: „აფხაზები წარმოშობით ჩრდილოეთის ტომია". ჩვენს მიერ მოტანილ ციტატებში ყველგან აფსუები იგულისხმებიან. ამის შესახებ პროფ. ს. პოტოცკი შენიშნავდა: „აფხაზები თავიანთ თავს უწოდებენ აბსიეს. ეს ხალხი, როგორც ჩანს, წარმოშობით კავკასიის ჩრდილო-დასავლეთის მხრიდანაა".

ამრიგად, უცხოურ წყაროებში იმ პერიოდიდან მოიპოვება აფხაზების, უფრო სწორად, აფსუების ჩამოსახლების შესახებ ცნობები, როდესაც, მართლაც, იწყება აფსუების ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლების პროცესი აფხაზეთში. ამას თვით აფსუათა შორის გავრცელებული გადმოცემებიც ადასტურებენ. 145 წლის მაჟაგუ ადლეიბას ნაამბობის მიხედვით, რომელიც 1934 წელს აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომებში დაიბეჭდა, აფხაზეთში პირველად გადმოსახლდნენ აგრბას, ადლეიბას, ინაპშბას... გვარის წარმომადგენლები ყარაჩაიდან. როგორც იგი მიუთითებს, მათი „წინაპრები აფხაზეთში მაშინ ჩამოსახლდნენ, როდესაც გაიგეს, რომ აფხაზეთი მოსახლეობისაგან დაცარიელდა".

აფსუებმა ჩრდილოეთ კავკასიიდან XV-XVI საუკუნეებში დაიწყეს ჩამოსახლება. ეს პროცესი შემდეგ საუკუნეებში ინტენსიურად გრძელდებოდა. აფსუების მასობრივი გადმოსახლების პერიოდში საქართველოს ერთიანი ძლიერი სახელმწიფო უკვე აღარ არსებობს. გარეშე მტრების გამუდმებულმა შემოსევებმა ქვეყანა ეკონომიკურად გააპარტახა. შინაფეოდალურმა ომებმა კი ისედაც დაუძლურებული ქვეყანა დაღუპვის პირზე მიიყვანა. კატასტროფულად შემცირდა საქართველოს მოსახლეობა, ხოლო ზოგიერთი მხარე გაუკაცრიელდა. სწორედ ასეთ ვითარებაში ჩრდილოეთი ტომებისაგან დამცავი კავკასიონის მთავარი ქედი სამგან „გაირღვა": აფსუები სახლდებიან აფხაზეთში, ოსები — სამაჩაბლოში, ხოლო ლეკები — კახეთში. საქართველოს აღარ შესწევს ძალა და აღარც უნარი დაუკითხავად მოსული გადამთიელი სტუმრები უკანვე გააბრუნოს, როგორც ეს, ვთქვათ, გიორგი ბრწყინვალემ გააკეთა, როდესაც მოთარეშე ოსები საქართველოდან განდევნა. უფრო მეტიც, მათ საქართველოს მიწა-წყალზე დასახლებას ადგილობრივ ფეოდალთა ვიწრო პირადული ინტერესებიც უწყობდა ხელს: გამუდმებული გარე და შიდა ბრძოლებისაგან დაცარიელებულ მამულებში ყმა გლეხთა გამრავლება.

აფხაზების ჩამოსახლების შესახებ მეტად საინტერესოა ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისი. მისი აზრით, XV საუკუნიდან აფხაზეთში ხდება ძირფესვიანი გარდატეხა — აფხაზეთი „წარმართობს", აფხაზეთში ზედიზედ უქმდება საეპისკოპოსოები, ქრება ქრისტიანობა. „ხდება ის, რასაც ადგილი ჰქონდა არაერთგან საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობაში. ფეოდალური ბარის დასუსტების შემდეგ ჩამოწვა მთა. სრულიად შეუძლებელია, რომ აფხაზეთში ინტენსიური ფეოდალური მეურნეობა ექსტენსიურ მთის მეურნეობით შეცვლილიყო, დაწინაურებული ფეოდალური კულტურა მთის ყოფით შეცვლილიყო, რომ აფხაზეთი, ქრისტიანობისაგან მიქცეულიყო, თუ იქ მთის ჩამოწოლას არ ჰქონდა ადგილი". ამავე დროს ნ. ბერძენიშვილის მიხედვით, მთიელი აფხაზების ჩამოსვლა რამდენიმე ნაკადად განხორციელდა და ეს პროცესი უფრო ადრეულ საუკუნეებში დაიწყო: „ფეოდალურ ხანაში მთიელი აფხაზები რამოდენიმე ნაკადად ჩამოდიან აფხაზეთის ტერიტორიაზე. ერთ-ერთი ასეთი ნაკადი უნდა ჩამოსულიყო XIII ს-ში, როდესაც ჩრდილო კავკასიაში ოქროს ურდოს მოწოლით კავკასიის ტომები სამხრეთით მოიწევენ... მთიელი აფხაზების ჩამოსახლების პროცესი გრძელდებოდა მომდევნო საუკუნეთა მანძილზე. XV საუკუნეში ეს პროცესი საკმაოდ შორს ყოფილა წასული... XVII საუკუნისათვის მთიელ აფხაზთა ახალი ნაკადის ჩამოსვლაა სავარაუდებელი, რომელმაც კიდევ უფრო გააძლიერა აფხაზეთის ახალი მოსახლეობა".

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ენა შეიცვალა უწიგნო და გაცილებით დაბალი კულტურის მქონე აფსუების ენით. საერთოდ, როდესაც მოსული ელემენტი იმარჯვებს. მისი ენა დევნის დამარცხებულის ენას, თუნდაც ეს უკანასკნელი უფრო განვითარებულიც იყოს. თუ ისტორიული პირობები არახელსაყრელია, თვით კულტურის მაღალი დონეც ვეღარ იცავს ენას. სამართლიანად აღნიშნავდა ცნობილი ენათმეცნიერი თ. შარაძენიძე: „მაღალი კულტურის მატარებელი არა ერთი ენა აღგვილა დედამიწის ზურგიდან და მის ადგილას კულტურის უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი... ხალხის ენა გაბატონებულა". ამავე დროს აშკარად ჩანს, რომ გვიანდელ შუა საუკუნეებში საგრძნობი ცვლილებები ხდება აფხაზურ ენაში. როგორც ცნობილია, XVII საუკუნეზე ადრე ჩვენ არც ერთი აფხაზური სიტყვა წერილობით წყაროებში დაცული არ მოგვეპოვება. ამიტომ არ ვიცით, თუ რა ენაზე ლაპარაკობდა აქ მცხოვრები ხალხი, როგორი იყო მათი ლექსიკა. პირველად თურქმა მოგზაურმა ევლია ჩელებიმ, რომელმაც 1641 წელს იმოგზაურა აფხაზეთში, ჩაიწერა რამდენიმე აფხაზური სიტყვა, შემდეგ კი გერმანელმა აკადემიკოსმა გიულდენშტედტმა 1770-იან წლებში შეადგინა მცირე გერმანულ-აფხაზური ვოკაბულარი. ამ უკანასკნელის მასალების განხილვისას აკად. ს. ჯანაშია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „სახელთა უმრავლესობა წარმოდგენილია იმ ა-წინსართის გარეშე, რომელიც დღევანდელ აფხაზურში განუყრელი ნაწილია განყენებული მნიშვნელობით აღებული სიტყვისა. აკად. ს. ჯანაშია იმასაც მიუთითებს, რომ გიულდენშტედტს აღნიშნული აქვს რამდენიმე სიტყვა, რომელთა თავკიდური ა სწორედ ამ ნაწილაკად უნდა მივიჩნიოთ. ამასთან იგი გულისხმობს, რომ „იმ დროს ეს ნაწილაკი გაცილებით უფრო სუსტად იყო დაკავშირებული სიტყვის ძირითად მასასთან". ეს შეიძლება იმითაც ყოფილიყო განპირობებული, რომ ამ პერიოდში, და უფრო ადრეც, აფსუები სახლდებიან აფხაზეთში და მათი ენაც გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. ყოველ შემთხვევაში, აფსუების გადმოსახლებას რომ არ ჰქონოდა ადგილი, მაშინ ამ პერიოდში ა წინსართი აქ უკვე განვითარებული უნდა ყოფილიყო.

ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რაც უფრო ღრმად შევდივართ აფხაზეთის ჩრდილოეთ ნაწილში, მით უფრო მცირდება აფხაზურ ენაზე მეგრული ენის და, სამაგიეროდ, იზრდება ქართული ენის გავლენა. აკად. ქ. ლომთათიძეს მოყავს ს. ჯანაშიას მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბზიფურ მეტყველებას ქართული ენის ისეთი ფაქტები ახასიათებს, რომლებიც უცხოა უფრო სამხრეთით მდებარე აბჟუის მეტყველებისათვის, რომელზეც მეგრულის გავლენა ჭარბობსო. ეს ფაქტიც იმაზე ხომ არ მეტყველებს, რომ სწორედ სხვადასხვა მონათესავე ქართველური ტომებით იყო დასახლებული აფხაზეთი.

საგულისხმოა ისიც, რომ გიულდენშტედტის მიერ ჩაწერილი აფხაზური ნაცვალსახელების ნაწილის ახსნა თანამედროვე აფხაზურის საშუალებით ვერ ხერხდება, რადგან, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „აქ ჩრდილო აღმოსავლური ენოვანი მასალა გვაქვს". სწორედ ამ ენოვანი მასალის ანალიზის საფუძველზე ხდება იმ პერიოდში გავრცელებული ნაცვალსახელების ახსნა.

აფსუების ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლების ფაქტს ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს მიაქცია ყურადღება ა. ხახანაშვილმა. იგი წერდა: „გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ აფხაზებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ კავკასიის ქედის იქითა მხარეს, გადმოლახეს კავკასიის მთები და შეავიწროვეს მეგრელები სამხრეთისაკენ... მათ ორი საუკუნის განმავლობაში მეგრელები მნიშვნელოვნად შეავიწროვეს". ამ თავის მოსაზრებას იგი ამაგრებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალებით. წებელდაში ნაპოვნი ქართულად წარწერილი ნივთები, მისი აზრით, მოწმობენ მეგრელების განსახლებას ჯერ კიდევ X და XI საუკუნეებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. ა. ხახანაშვილს მოყავს ამონაწერი არქეოლოგ სიზოვის ანგარიშებიდან, სადაც სიზოვი შემდეგს აღნიშნავს: აფხაზეთში „ჩემს მიერ აღმოჩენილი კულტურის კვალი ძირითადად ატარებს ქართული კულტურის ბეჭედს".

აფსუების თავიანთი ისტორიული სამშობლოდან — ჩერქეზეთიდან აფხაზეთში გადმოსახლების შესახებ ნათლად მეტყველებს ა. დიაჩკოვ-ტარასოვის მიერ მოტანილი შემდეგი ფაქტიც: მეგრელები ადრე გაცილებით ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ. სოხუმის დაარსების ეპოქაში აქ მეგრელები ბატონობდნენ, რადგანაც სიტყვა „სოხუმი" მეგრული წარმოშობისაა. სოხუმის არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნია ვაზა, რომელიც ქართული კულტურის ბეჭედს ატარებს, და მონეტა ქართული წარწერით. ა. დიაჩკოვ-ტარასოვს ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოდ მიაჩნია მეგრული და ლაზური ენების დიდი სიახლოვე; თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე თითქმის ტუაფსემდე ძველი ლაზიკის მოსახლეობის მოხსენიება ძველი გეოგრაფების მიერ, ბელის (ინგლისელი, რომელიც XIX საუკუნის 30-იან წლებში ცხოვრობდა ჩერქეზთა შორის) მიერ იმის აღნიშვნა, რომ მის დროს ლიხნის მიდამოებში მცხოვრები აფხაზები მეგრულ ენაზე ლაპარაკობდნენ; დიოსკურიიდან მდინარე აფსარამდე კოლხების ცხოვრება, რომელთაც შემდეგ ეწოდებოდათ ლაზები; აფხაზებზე მეგრელების ძლიერი კულტურული გავლენა. აქ ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თვით XIX საუკუნის 30-იან წლებშიც კი აფხაზებით დასახლებულ ცნობილ ლიხნში აფხაზები ჯერ კიდევ მეგრულად ლაპარაკობდნენ.

ლიხნი მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა საშუალო საუკუნეებში, ხოლო ბოლო პერიოდში აფხაზეთის მთავართა რეზიდენცია იყო. ლიხნში არის ძველი ქართული ხელოვნების შესანიშნავი ძეგლი — ტაძარი ფრესკებით და XI საუკუნის ქართული წარწერებით. პ. ინგოროყვამ უტყუარად დაამტკიცა, რომ სახელწოდება ლიხნი ქართული წარმოშობისაა. როგორც ჩანს, გადმოსახლებულმა აფსუებმა ლიხნში, როგორც კულტურულ ცენტრში, გასული საუკუნის 30-იან წლებშიც ვერ შეძლეს, თავს მოეხვიათ თავიანთი ენა აქ მცხოვრები ქართველი ტომების — აფხაზებისათვის. ოდითგან აქ მცხოვრები ქართველი ტომი ისევ მეგრულ ენაზე ლაპარაკობდა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ მხრივ თურქი მოგზაურის ევლია ჩელების ცნობა. იგი აბაზას ქვეყანაში მოსახლე ჩაჩების ტომის შესახებ აღნიშნავს: „ერთმანეთში მეგრულადაც ლაპარაკობენო". იგი მხოლოდ ჩანდების ტომზე ამბობს: „წმინდა აბაზები ესენი არიანო" როგორც ჩანს, აფხაზეთის დიდ ნაწილში ჩამოსულმა აფსუებმა ადგილობრივ მოსახლეობას თანდათანობით თავს მოახვიეს თავიანთი სალაპარაკო ენა, რის გამომწვევ მიზეზებზეც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. ამასთან აღსანიშნავია, რომ შემოსული მოსახლეობის მიერ ქართველი მოსახლეობისათვის მათი ენის თავს მოხვევის ფაქტებს არა მარტო აფხაზეთში, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებშიც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, იმ ქართულ სოფლებში ან იმ ქართული სოფლების გარშემო, სადაც ოსები მასობრივად სახლდებიან, ოსური ენა ქართველებშიც გავრცელდა და მოსახლეობის ნაწილი კიდევ გაოსდა. ანალოგიური პროცესი მოხდა ჯავახეთის ზოგიერთ ქართულ სოფელში. კერძოდ, ახალქალაქის რაიონის სოფლები ბავრა, ხულგუმო და კარტიკამი გასული საუკუნის 30-იან წლებში ქართველებით იყო დასახლებული. მაგრამ იმის გამო, რომ ამ სოფლების გარშემო სომხები დასახლდა, ქართველი მოსახლეობა თანდათანობით კარგავს ქართულ ენას და ქართულ თვითშეგნებას — ისინი საბოლოოდ გასომხდნენ. ეს ფაქტი მოტანილი აქვს პროფ. შ. ლომსაძეს თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „სამცხე-ჯავახეთი". როგორც ჩანს, ასეთივე პროცესი მოხდა აფხაზეთში, მაგრამ გაცილებით ფართო მასშტაბით.

ანზორ თოთაძე.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხრ" № 77, 78, 79, 81.

კოლეგები

ჩვენი დღევანდელი მოსაუბრე 23 წლისაა. არის მოსკოვის ერთ-ერთი „უმაღლესის“ კურსდამთავრებული, თბილისის ანალოგიური სასწავლებლის მესამე კურსის სტუდენტი და ბერლინის რიგითი ინსტიტუტის გერმანული ენის კურსის მსმენელი. გასაგები მიზეზების გამო პირობითად გიორგი ვუწოდოთ. ჩვეულებრივი თანამედროვე ქართველი ახალგაზრდაა. თუმცა, რატომ — ჩვეულებრივი?

29 ივნისს, დილის საინფორმაციო-მუსიკალურმა ტელეპროგრამა „ალიონმა“ გვამცნო, რომ ახლახან აფხაზეთში ომის შემდეგ პირველმა, ჯერჯერობით ერთადერთმა ქართველმა ინკოგნიტო ჟურნალისტმა შეაღწია და მისი გადაღებული ვიდეომასალის ნაწილი წარმოგვიდგინა. გიორგი სწორედ ეს პიროვნება გახლავთ. დანარჩენზე თავად მოგვითხრობს:

„საზღვარზე“ გადასული კაცი

— გერმანელი ამხანაგები ხშირად მეკითხებიან: ნუთუ ქართველები ისეთი მშიშრები ხართ, რომ ვერავინ გაბედეთ აფხაზეთში გადასვლა და ამჟამინდელი ჯოჯოხეთური სინამდვილის ფირზე აღბეჭდვა. ან, როდემდე უნდა ისარგებლოთ რუსეთის ტელევიზიიდან მოპარული მზამზარეული სიუჟეტებით; თავისუფლებას რომ ესწრაფვით, რამეში მაინც ხომ უნდა გამოჩნდესო?

ბუნებრივია, ამ რეპლიკებმა ჩემზე დოპინგივით იმოქმედა და, როგორც ამ მიწის შვილმა, თავმოყვარეობაშელახულად ვიგრძენი თავი. თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენი კოლეგა ვარ და გული კიდევ უფრო მიკვდებოდა. წარმოიდგინეთ, როგორი მოსასმენი იქნებოდა ჩემთვის მსგავსი გამონათქვამები მთელი წლის მანძილზე? თანდათან მომიმწიფდა აზრი, რომ სამშობლოში არდადეგებზე ჩამოსვლისთანავე რამენაირად, ნებისმიერი საშუალებით გადავსულიყავი ენგურსგაღმა, პირადად დავრწმუნებულიყავი ათასგზის მოსმენილის ჭეშმარიტებაში, შეძლებისდაგვარად ამესახა კამერით და ფართო საზოგადოებრიობისათვის მიმეწოდებინა. რამდენად განვახორციელე ჩანაფიქრი, ტელემაყურებელმა და მკითხველმა თავად განსაჯოს.

— სათქმელად იოლია, მაგრამ საინტერესოა, როგორ მოახერხე?

— ოჯახში ზოგადად დავიბარე, რომ დასავლეთში მივდიოდი. მეტი არაფერი. სიმართლე მხოლოდ ერთმა მეგობარმა იცოდა, რომელმაც თანამგზავრობა გამიწია. ოპერაციამ ერთ კვირას გასტანა. ჩვენ წალენჯიხის რაიონიდან მრავალი დაბრკოლების გადალახვის, მათ შორის სომეხთა სამშვიდობო ბატალიონის მიერ შემოწმების შემდეგ, ტყე-ტყე ხეტიალით ჩავაღწიეთ დანიშნულების პუნქტამდე. სამშვიდობო ბატალიონმა კამერა ვერ გვიპოვა. იგი დახეულ ჩანთაში გვეგდო, ჩვენც, მიხვდებით ალბათ, „სმოკინგებში“ ვიყავით „გამოპრანჭული“. თავდაპირველად განზრახული გვქონდა ქალაქ გალის ცენტრამდე მიღწევა, მაგრამ ეს დიდ რისკთან იყო დაკავშირებული (აფხაზ სეპარატისტთა ჯგუფები ავტომანქანებით განუწყვეტლივ დათარეშობდნენ) და მარშრუტი ნაწილობრივ შევცვალეთ, ამჯერად მხოლოდ სოფელ საბერიოთი შემოვიფარგლეთ...

— ტელეპროგრამა „ალიონის“ სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთ სიუჟეტში იქ გადაღებული ვიდეომასალის მხოლოდ მცირე ნაწილს თუ აჩვენებდით. როგორ აღმოჩნდა თქვენი ნაღვაწი „ალიონში“ და რა ვერ მოხვდა ეკრანზე?

— დაბრუნებისთანავე ტელერადიოკორპორაციას მივაშურე და პირდაპირ პროგრამის ხელმძღვანელთან ოთარ შარშაძესთან შევედი. მან გულთბილად მიმიღო, აღფრთოვანება ვერ დამალა ჩვენი სიმამაცით და უსასყიდლოდ, საჩუქრად გადაცემული ფირის გამო (ბევრი ჩვენი თანამემამულე, დარწმუნებულნი ვართ, ამ ვიდეომასალით „ჯიბის ფულსაც“ გააკეთებდა. — **რედ.**).

რაც შეეხება თქვენი შეკითხვის მეორე ნაწილს, გიპასუხებთ, რომ ანგარიში გავუწიეთ შემდეგ გარემოებას: ადგილობრივი ქართველობა მომავალში აფხაზთა აგრესიული გამოხდომების ობიექტი და მსხვერპლი გახდებოდა, ანგარიშსწორების თავიდან ასაცილებლად კი ყველაფერი შეგნებულად არ გაჩვენეთ ეკრანზე. დავძენ აგრეთვე, რომ მტრის სპეცსამსახურები ნაყოფიერად მუშაობენ და მათთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს სიუჟეტის პერსონაჟთა ამოცნობა და დასჯა. ამით, ვფიქრობ, ყველაფერია ნათქვამი. თუმცა, ისე ნუ გამიგებთ, თითქოს სიძნელეებისა და მოსალოდნელი საფრთხის შეგრძნების გარეშე ვმოქმედებდით. ადვილი მისახვედრია როგორ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით გადამწვარი საბერიოს ცენტრის — საშუალო სკოლის, კოლმეურნეობის დირექციის, საბჭოს, ფოსტის, აფთიაქის, სასწრაფო დახმარების შენობების, სავაჭრო ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების გადაღებისას...

— ქართველთა ყოფისა და საერთო სიტუაციის შესახებ რას გვეტყვით?

— გულისტკივილით აღვნიშნავ, რომ ორგული მარტო მოშულეთა შორის როდი გვყავს, „ქართველთა“ ნაწილმა, საუბედუროდ, დამაქცევართა აგენტობა იკისრა. მაგალითად, იქვე თურმე სამი დისტანციური კავშირის წყარო ფუნქციონირებს, რომლებითაც, ეს გამყიდველები მთელი წლის განმავლობაში ძვირფას ინფორმაციებს აწვდიან მოწინააღმდეგის ბანაკს, რას იზამ, სადაც გმირობაა, იქ ღალატიცაა მუდამ...

ამავე დროს გაუსაძლისმა საარსებო პირობებმა ყველანი როდი დააბეჩავა. არაერთი პატრიოტული სულის ქართველი შემხვდა, რომლებიც იმედით სუნთქავენ და აფხაზეთის დედასამშობლოსთან დაბრუნება მხოლოდ დროის საკითხად მიაჩნიათ.

იქ შექმნილი ვითარება მოკლედ ასე შეიძლება გადმოგცეთ: თითქმის ყოველ მეორე სახლში ქართველი მოხუცი (ახალგაზრდები იმ სოფელში არ გვინახავს) ცხოვრობს, თუ შეიძლება ამას ცხოვრება ეწოდოს. ისინი ძირითადად სამეგრელოდან მალულად, ბილიკ-ბილიკ სიმწრით შეტანილი პროდუქტებით ირჩენენ თავს. საკუთარ ეზოში მიწის ნაკვეთის დამუშავებისას ხშირად უწევთ მოახლოებული აფხაზი და მათი დამქაში მკვლელებისაგან დამალვა. ჩვენც მრავალი ასეთი საბედისწერო შეხვედრის აცილება მოგვიხდა.

— სამშვიდობო ძალების ახალ კონტინგენტზე რა აზრის არიან იქაური მკვიდრნი?

— როგორც საუბრებში შევიტყვე, ამ ბოლო დროს აფხაზებთან მაინცდამაინც ჩახუტებულები აღარ არიან. უფრო მეტიც: ყოფილა ფაქტები, როდესაც ბანდიტები შემთხვევის ადგილზე განუიარაღებიათ...

• • •

ბოლოს, გაცნობებთ, რომ ჩვენი თანამოსაუბრე და მისი მეწყვილე ოპერატიულად „ჩაუშვიათ“ და იქაურობა იმავე ღამით რომ არ დაეტოვებინათ, უკვე ინფორმირებული აფხაზი „მასპინძლები“ ალბათ ამჯერადაც ჩვეულ „სტუმართმოყვარეობას“ გამოიჩენდნენ...

უნიკალური კადრების ავტორი ასეთი რწმენით დაგვემშვიდობა: ვიმედოვნებ, ჩვენში აღმოჩნდებიან ძლიერნი ამა ქვეყნისანი, რომლებიც დაინტერესდებიან 23 წლის „უჩინმაჩინის“ ვინაობით. ალბათ, შორს არ არის ის დღე, როდესაც მისი ნამდვილი სახელითა და გვარით წარდგენა არავის შეაშინებს...

დღეს კი ეს ვიკმაროთ...

გია პლატონიშვილი.

კარიკატურისტის თვალით


-ცოლადაც მოგიყვან, ოღონდ „საქართველოს რესპუბლიკა“ მომეცი.

ვახტანგ კუციას ნახატი.

სწავლის მსურველთა საყურადღებოდ!

საქართველოს ღია ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

გიწვევთ სასწავლებლად შემდეგ სპეციალობებზე:

საქართველოს ისტორია, იურიდიული, ეკოლოგია და ბუნებათმცოდნეობა, სამედიცინო ეკოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ტურიზმის მართვა და ორგანიზაცია, ეკონომიკა, ფსიქოლოგია-პედაგოგიკა (დაწყებითი განათლება).

უნივერსიტეტის პირველ კურსზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე პირები ასაკის განუსაზღვრელად. კოლეჯდამთავრებულები სპეციალობის შესაბამისად ჩაირიცხებიან მეორე კურსზე, უმაღლესი განათლების მქონე პირები, რომლებსაც სურთ მეორე სპეციალობის მიღება, ჩაირიცხებიან მესამე კურსზე, მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები ჩაირიცხებიან მოსამზადებელ კურსებზე.

უნივერსიტეტში თანამშრომლობს 23 აკადემიკოსი და 60 პროფესორი.

უნივერსიტეტში სწავლის გადასახადი ხელმისაწვდომია ყველა მსურველისათვის. მიღება ყველა ფაკულტეტზე წარმოებს ტესტირების წესით 10-**დან 15 აგვისტომდე.**

უნივერსიტეტის მისამართია: თბილისი, დოლიძის ქ. № 8, II სართული. **ტელეფონი:** 36-11-42, მეტრო „პოლიტექნიკურთან“.

რექტორატი.

ინფორმაცია

უცხოელებიც არ დაინდეს

საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, რომ 11 ივლისს 00 საათსა და 45 წუთზე გორის რაიონის სოფელ წითელუბანთან ცენტრალური გზიდან 800 მეტრის დაშორებით მიკროავტობუსს თავს დაესხნენ ჯერჯერობით დაუდგენელი შეიარაღებული ბოროტმოქმედები. მათ ავტობუსის მძღოლს წაართვეს მართვის მოწმობა და პასპორტი, მგზავრებს — პირადი ნივთები და გარკვეული რაოდენობის თანხა. მგზავრთა შორის აღმოჩნდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჰუმანური დახმარების აქცია „ველსტარტ ინტერნასიონალის“ წარმომადგენლები — ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეები. თავდამსხმელებმა პირად ნივთებთან ერთად უცხოელებს წაართვეს მათი ოფისის დოკუმენტაცია, გაიტაცეს ავტობუსი და მიიმალნენ.

გულიკო მარკოზაშვილი.

სტიქია ცხომარეთში

რამდენიმე დღის წინათ ხაჩხერის რაიონს, უზუმთის მხრიდან, კუპრივით შავი ღრუბელი გადაეფარა. ნახევარი საათის შემდეგ კი ძალუმად იქუხა და საათზე მეტხანს კოკისპირული, სეტყვანარევი წვიმა დაუშვა.

კალაპოტში ვეღარ მოთავსდნენ მდინარეები: ჭრებულა, ფასკნარა და წყალფეინა. განსაკუთრებული საშიშროება შეიქმნა სოფელ ცხომარეთში. წყლით დაიტბორა საშუალო სკოლის შენობა. მთით დაქანებულმა, მანამდე უწყინარმა ღელემ სარახუნომ, მდინარე ჭრებულას მარჯვენა შენაკადმა მოთხარა ახლოვანი ხეები, თან გაიყოლა კლდე-ღრე და ხოვსიდაძეების მამულში ჩახერგა. დიდი ზარალი მიადგა მცხოვრებთ, მიწისქვეშ მოექცა საუბნო წისქვილი, ნათესი ფართობებისა და ბაღ-ვენახების მნიშვნელოვანი ნაწილი, 5 კმ-ის მანძილზე მთლიანად დაინგრა სოფლის საავტომობილო გზა...

საბედნიეროდ, სტიქიას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

სოზარ კუპატაძე,
„ხრ“ საკ. კორ.

ცოდნას ეძიებიან

აგრარული უნივერსიტეტის მარნეულის ფილიალში მოსამზადებელი განყოფილების კურსდამთავრებულთა მისაღები გამოცდები ჩატარდა. 27 ახალგაზრდა ქართველი, აზერბაიჯანელი, სხვა ეროვნების წარმომადგენლები სტუდენტები გახდნენ. სხვები თავიანთ ბედს 24 ივლისს სცდიან, როდესაც აქ დაიწყება მისაღები გამოცდები 11 სპეციალობაზე.

გამოცდების ორგანიზებულად და ობიექტურად ჩატარებისათვის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა მშობელთა კომიტეტი, რომელსაც ემინ იუსუბოვი ხელმძღვანელობს.

სულეიმან სულეიმანოვი.

წლები - ჩემი სიმდიდრე

როგორ გაჭარმაგებულან ეშმაკუნები

სკოლის ახლად აშენებული კედლების ფონზე ილიასა და აკაკის ძეგლის წინ, კიბეებზე სამახსოვრო სურათს იღებდნენ პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლის 1950 წლის კურსდამთავრებულები.

თერთმეტიანი ბატონების ჯგუფში ერთადერთი, სათვალეებიანი, სანდომიანი გარეგნობის მანდილოსანი იდგა, რომელიც გვირილების ლამაზ თაიგულს გულში იხუტებდა. იგი 45 წლის წინათ კლასის დამრიგებელი ყოფილა — მათემატიკის მასწავლებელი, ქალბატონი ნუნუ თოფურიძე.

ეს სერიოზული სახის ფოტოგრაფს გადაღების საშუალებას არ აძლევდა — რუსთაველის პროსპექტზე, შაბათ დილას, სკოლის წინ ჩავლილ ნაცნობებს ხელის აწევით, შეძახილებით და გულითადი ღიმილით ესალმებოდნენ. რა გასაკვირია, მათ თბილისში ბევრი იცნობს — მსახიობი ნოდარ მგალობლიშვილი, მოქანდაკე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ჯუნა მიქატაძე, ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე გოგი როსტომაშვილი, აკადემიკოსები ირაკლი ჟორდანია და ზაურ ყრუაშვილი, პირველი თაობის მეტალურგები გოგი გუგუშვილი და ნუგზარ გოგუა, ფეხბურთის ყველა გულშემატკივრისთვის ცნობილი თბილისის „მთავარი გულშემატკივარი“ გურამ ქავთარაძე, „საქგზამეცნიერების“ გენერალური დირექტორი, საქართველოს გამომგონებელთა საზოგადოების თავმჯდომარე თამაზ შილაკაძე. 31 კაციდან რომელი ერთი ჩამოვთვალო. თანაკლასელებს შორის იდგა ჩვენი კოლეგა, ტელევიზიისა და რადიოს პოპულარული მიმომხილველი ნოდარ ბეთანიშვილი, რომელიც ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც თანაკლასელებს ეს ბედნიერი დღე აჩუქა.

სკოლაში რომ შევედით, როგორც „ბავშვებმა“ დამიხასიათეს, ყველაზე მკაცრმა და სამართლიანმა ნუნუ მასწავლებელმა სიამაყით გადმომილაპარაკა — ეს ჭაბუკები ისეთი ეშმაკუნები იყვნენ, მეტი რომ არ შეიძლება. შრომისუნარიანობა, ნიჭიერება და კეთილშობილება მათ ოჯახებმა ჩაუნერგათ.

ყოფილმა მოსწავლეებმა ხმაურით, მაგრამ მოკრძალებით, დაათვალიერეს სკოლა — გიმნაზიის პირვანდელი სახე რომ მიუღია. ის ადგილი, სადაც ახლა საპარადო შესასვლელია, ადრე, მათ ბავშვობაში, სარდაფი ყოფილა.

— გახსოვთ გოგოების თავმოსაწონად მეორე სართულიდან რომ გადმოვხტი და ხელი მოვიტეხე? მიხაროდა, ორი კვირა გაკვეთილზე არ მაწერინებდნენ და თქვენ დამცინოდით? — იხსენებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალბერტ მენთეშაშვილი. რამდენჯერ გამიცდენია გაკვეთილი, რა არ გამიკეთებია. ეს რომ ახლა ჩემმა სტუდენტებმა გაიგონ...

იფეთქა მოგონებების ნიაღვარმა.

— დავბერდით, მაგრამ ამ სიბერეში მეორედ გაგვიჩნდა სიყვარული ჩვენი სკოლისადმი, მასწავლებლებისადმი. მერე რა, რომ ეს ყველაფერი წარსულია. გულს ხომ გვითბობს. რა ხანია ბევრს ერთმანეთი არ გვინახავს, ისეთი ცხოვრება მოვიდა, დრო და ჟამმა ბევრიც გამოგვაკლო. სულ ახლახან „ოქრო ბიჭი“, მეცნიერი ზურიკო ბოკუჩავა დავკრძალეთ... — თქვა ბატონმა ჯუნა მიქატაძემ, სახალხო მხატვარმა, პროფესორმა.— ჩვენი სკოლა აღსდგა, სასიამოვნოა, რომ ძველებური, გიმნაზიის სახე მიიღო. თავის დროზე მის ფასადს ხომ უნივერმაღი მალავდა, პროსპექტის მოპირდაპირე მხარეს ქაშვეთის ეკლესიას კი აბანო, „ჰიგიენა“ რომ ერქვა. ახლა კი გამოჩნდა ყველაფერი.

სკოლიდან გასვლას არავინ ჩქარობდა. ვიდექით მათ გვერდით მე და ჩემი კოლეგები ტელევიზიიდან და სიყვარულით შევცქეროდით თანაკლასელებს. ისინი კი ისევ ის ბიჭები იყვნენ, როგორც 45 წლის წინათ. მაშინ მათი იყო ეს ყველაფერი — სკოლაც, რუსთაველის პროსპექტიც, „ბირჟაც“ ამ ხესთან...

არც ერთი არ გამხდარა მაშინდელი გაგებით საქმოსანი. ყველა პატიოსნად ემსახურებოდა საქართველოს, მათ შორის უმეტესობა მეცნიერები იყვნენ.

— ჩვენს თაობას პატიოსნება ბავშვობიდან ჩაუნერგეს, — გვითხრა ბატონმა ნოდარ ბეთანიშვილმა. — ერთმანეთის სიყვარულითა და წაბაძვით ვცდილობდით მეტი წვლილი ჩაგვედო საერთო საერო საქმეში.

პირველი სკოლის სკვერიდან შეკრებილები ჯგუფ-ჯგუფად, ხელგაყრილები, როგორც დიდი ხნის წინათ, კვლავ ხალისით, ომახითა და მტკიცე ნაბიჯით გაუყვნენ რუსთაველის პროსპექტს. იმ დღეს მათი იყო ის ლამაზი თბილისი, ყმაწვილკაცობაში რომ ახსოვდათ, და არავის დაუთმობდნენ და გაათელინებდნენ მას.

რამდენი წვეთიც დაიღეოდა თქვენი გამოშვების 45 წლისთავზე გაშლილ სუფრაზე, იმდენი წლის სიცოცხლე და ბედნიერება არ მოშლოდეს თქვენს ოჯახებსა და სამშობლოს.

ია კალანდარიშვილი.

ფესტივალი

„დარიალი“— გამარჯვებული

პოლონეთის პატარა ქალაქი ჰაინოვკა 30 ქართველი ყმაწვილის ცხოვრებაში აღიბეჭდა როგორც მათი წარმატების სიმბოლო. ეს ყმაწვილები მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლ „დარიალის“ წევრები არიან, ისინი ახლახან დაბრუნდნენ ქალაქიდან, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ საფესტივალო და საკონკურსო ცხოვრებით ცხოვრობდა.

ჰაინოვკის წმინდა სამების ეკლესიაში ხუთ დღეს ჟღერდა მხოლოდ მართლმადიდებლური საეკლესიო მუსიკა და მის შესრულებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ძირითადად ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები — 35 კოლექტივი, როგორც პროფესიული აკადემიური და სოფლის საეკლესიო გუნდები, ისე მოყვარულები, მათ შორის, ჩვენი „დარიალიც“. შესაბამისად კონკურსიც სამ კატეგორიად მოეწყო, ამის შესახებ, ცხადია, ანსამბლ „დარიალის“ ხელმძღვანელი, ცნობილი მომღერალი და ლოტბარი თემურ ქევხიშვილი თავად გვიამბობს:

— კონკურსის მეორე კატეგორიაში ქალაქის მოყვარულთა კოლექტივები პაექრობდნენ. სწორედ აქ მონაწილეობდა ჩვენი „დარიალიც“. ყმაწვილებმა შეასრულეს „შენ ხარ ვენახი“, „წმინდაო ღმერთო“, „ლილო“, „ალილუია“, „კვირია“ და ნიკო სულხანიშვილის ქორალი „ღმერთო, ღმერთო“.

მოგეხსენებათ, ეკლესიაში ტაშს არ უკრავენ, სამაგიეროდ, გამოჩნდნენ თუ არა ეზოში ჩვენი ბიჭები, ნამდვილად გულწრფელი ოვაციები გაუმართეს. ანსამბლმა ერთბაშად სამი პრიზი მოიპოვა. უმაღლესი — „გრან პრი“, მაყურებლის სიმპათიის პრიზი და საუკეთესო დირიჟორისა. საღამოობით გამოსვლების შემდეგ ანსამბლის დირიჟორთათვის მოწყობილ სემინარებზე აღინიშნა „დარიალის“ განსაკუთრებული წარმატება, პროფესიული მომზადების მაღალი დონე, ჟიურის თავმჯდომარემ კი მათ ასეთი შეფასება მისცა, „ეს პატარა ბიჭები უცხო პლანეტიდან მოვლენილნი მგონია“.

ფესტივალ-კონკურსის დასრულების შემდეგ ჯერ თავად ჰაინოვკა მასპინძლობდა გამარჯვებულთ, შემდეგ კი ქალაქი ბელოსტოკი, ბოლოს ქართული სიმღერები ვარშავის მართლმადიდებლურ ეკლესიაშიც აჟღერდა.

ტრადიციისამებრ, გამარჯვებულ კოლექტივს უფლება აქვს მომდევნო ფესტივალის გახსნის ცერემონიალში მიიღოს მონაწილეობა, ეს პატივი, ბუნებრივია, ჩვენს ანსამბლსაც ხვდა. მომდევნო ფესტივალი კი საიუბილეო, მეთხუთმეტეა. ქართულ სიმღერას მრავალი პატივისმცემელი და დამფასებელი გამოუჩნდა.

თბილისში დავბრუნდით თუ არა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიგვიღო, მონაწილეებს საჩუქრად უბოძა „ახალი აღთქმა“, აგრეთვე „ბიბლია“ და ღვთისმშობლის უძველესი ხატი.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

ქირავდება...

დიღმის მასივის III კვარტლის II კორპუსში სხვადასხვა კომერციული საქმიანობისათვის ქირავდება პირველ სართულზე მდებარე 120 კვ. მეტრის დარბაზი. კორპუსი დგას პრესტიჟულ ადგილას — მეგობრობის პროსპექტზე.

მსურველებს შეუძლიათ მობრძანდნენ კორპუსში ან დარეკონ: 51-64-25, 99-66-10.

შ.პ.ს. „წიფლიანი“

დაგეხმარებათ საზღვაო ტრანსპორტით ბათუმის პორტიდან რუსეთის ტერიტორიაზე და უკუმიმართულებით კომერციული ტვირთების გადაზიდვებში, რუსეთის ტერიტორიაზე საბაჟო პროცედურების შესრულებაში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის **მოგვმართეთ:** ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. № 18. ტელეფონი: 2-15-86.

„ვიდეო სავიზიტო ბარათი“

მხატვრებს, არქიტექტორებს და დაინტერესებულ პირებს, ვთავაზობთ მაღალპროფესიულად შესრულებულ შემოქმედებით სავიზიტო ვიდეო-რეკლამების და ვიდეოკატალოგების გადაღებას.

ცნობებისათვის დაგვირეკეთ: 36-82-10, 36-88-17.

კომპანია „ქართული ტელეფილმი“.

ხსოვნა

თამაზ რატიანი

აფხაზეთის ომმა მრავალი კაი ყმის სიცოცხლე შეიწირა. მათ შორის თამაზ რატიანის, თავისი კაცობით ერთ-ერთი გამორჩეული მამულიშვილისა. სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, ომის პირველი დღეებიდანვე უშურველად ჩადგა ქვეყნის ერთიანობის დამცველთა რიგებში და ვაჟკაცური შემართებით იბრძოლა სეპარატისტთა და მათ მხარდამჭერ გადამთიელთა წინააღმდეგ.

სოხუმის ბატალიონის ოცმეთაურს, ბრძოლის ველზე ყოველთვის გამოარჩევდით თავისი საზრიანობით, მომთხოვნელობითა და ხელქვეითებისადმი მზრუნველი დამოკიდებულებით. სწორედ ამ გამორჩეული თვისებების გამო უყვარდათ და აფასებდნენ თანამებრძოლები.

სამწუხაროდ, 1993 წლის 16 ივლისს, მორიგი საბრძოლო დავალების შესრულების დროს, მტრის ტყვიამ იმსხვერპლა მისი სიცოცხლე. ორი წელი მიილია მას შემდეგ, რაც თამაზ რატიანი ჩვენს შორის აღარ არის.

უთქვამთ, დრო ყველაფრის მკურნალიაო. ვაი რომ ამჯერად ეს არ გამართლდა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

მეგობრები.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მეცნიერების, განათლებისა და კულტურის საკითხთა სახელმწიფო მრჩეველი

ანზორ ნიკოლოზის ძე წიკლაური

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ირინა, შვილები: ავთანდილი, ტარიელი, კაკო, დები: ნაზიკო, ლინეტა, ლეილა, რძლები: მადლენა იაშვილი, ქეთინო ციბაძე, მარინა შეშელიძე, მანანა კალატოზიშვილი, სიძეები: ვახტანგ ებანოიძე ოჯახით, დავით ამაშუკელი ოჯახით, ილია რუხაძე ოჯახით, შვილიშვილები: ირინა იაშვილი ოჯახით, ლადო, დემონი, შოთა, სოფიკო იაშვილი და ახლო ნათესავები იუწყებიან

ვლადიმერ კალისტრატეს ძე იაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18 ივლისს, სამშაბათს. ვანის რაიონი, სოფ. ზედა გორა.

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების რესპუბლიკური ცენტრი სამძიმარს უცხადებს კავშირგაბმულობის სამინისტროს ელექტროკავშირის სამმართველოს უფროსს ავთანდილ იაშვილს მამის

ვლადიმერ კალისტრატეს ძე იაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი

ირაკლი მელაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ოფიციალურად გაწევრიანდა

ახლახან გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში გამართულ ტაიბოქსის საერთაშორისო ასოციაციის მორიგ კონფერენციაზე ორთაბრძოლის ამ სახეობის საქართველოს ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი გოჩა ჯავახია) ოფიციალურად გაწევრიანდა ამ ავტორიტეტულ სპორტულ ორგანიზაციაში და გაისად ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდი ბანგკოკში (ტაილანდი) დამოუკიდებლად იასპარეზებს მსოფლიო ჩემპიონატზე.

გერმანიიდან დაბრუნებულმა გოჩა ჯავახიამ გვიამბო: „პროფესიონალთა საერთაშორისო ასოციაციაში გასაწევრიანებლად თვით მისმა პრეზიდენტმა, ჰოლანდიელმა ტომ ჰარინგმა გაგვიწია პირადი რეკომენდაცია, სათანადო სერთიფიკატი კი ამ ფორუმზე ტაილანდიდან საპატიო სტუმრებად მრავლად მოწვეულთაგან ერთ-ერთმა — ქვეყნის ვიცე-პრემიერმა გადმოგვცა.

ჩვენების მოწინააღმდეგენი

შვეიცარიაში მოეწყო ფეხბურთელთა ევროტურნირების 1995-96 წლების სეზონის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა, რომელმაც გამოავლინა ქართული კლუბების მეტოქეები.

თასების მფლობელთა თასი

„ბათუმის „დინამო“ — იუგოსლავიის „ობილიჩი“;

უეფას თასი

თბილისის „დინამო“ — ბულგარეთის „ბოტევი“, „სამტრედია“ — მაკედონიის „ვარდარი“.

შეხვედრები აგვისტოში გაიმართება.

გივი ჩოხელს ძეგლი დაუდგეს...

ბევრი როდი ტოვებს ფეხბურთში კაცურ-კაცობის ისეთ სახელს, როგორიც ეს გივი ჩოხელმა შეძლო. ალალი, გულმართალი, პატიოსანი, მოსიყვარულე, ფუტკარივით მშრომელი — ასეთი იყო ეს დიდებული ფეხბურთელი მწვანე მინდორზე და მის ფარგლებს გარეთ. ვინ არ მოხიბლულა მისი დიდოსტატური, ტექნიკური, ლამაზი თამაშით, რამდენჯერ გადაუკეტია ჩვენი კარის მისადგომები უძლიერეს თავდამსხმელებთან ვაჟკაცურ ჭიდილში.

გივი ჩოხელის მშობლიურ თელავში მისი დაბადების დღეს — 27 ივნისს მრავალმა ადამიანმა მოიყარა თავი. იყვნენ აქ, ცხადია, მისი თანაგუნდელებიც.

დიდებული ძეგლი აუგეს საყვარელ ფეხბურთელს თანამემამულეებმა — თელაველმა მოქანდაკემ სოსო მაისურაძემ, არქიტექტორმა გივი მეტრეველმა, ინჟინერმა როინ თანდილაშვილმა.

ოთარ ნოზაძე.

სპორტის ერთგული

მდიდარია ონის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის მევლუდ ჯელაძის სპორტული ბიოგრაფია. ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლე არაერთხელ გახდა რაიონის, ზონალური ასპარეზობებისა და რესპუბლიკის ჩემპიონი და პრიზიორი სიმაღლეზე ხტომასა და 800 მეტრზე რბენაში. 14 წლისა უკვე საქართველოს მძლეოსანთა ნაკრებ გუნდში მიიწვიეს. შემდეგ ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის განყოფილებაზე მოეწყო, საიდანაც მეორე კურსის სტუდენტი სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. იქაც ვარჯიშობდა სპორტის საყვარელ სახეობაში და რამდენჯერმე მოიპოვა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონის წოდება. საკავშირო სარბიელზე აქტიური და წარმატებული მონაწილეობისათვის ონელ ჭაბუკს ორჯერ გადაეცა შეიარაღებული ძალების სარდლობის ჯილდო. გამოცდილი სპორტსმენი ვეტერანთა შეჯიბრებებშიც კარგად გამოდიოდა — როგორც საქართველოს ჩემპიონი მძლეოსნურ მრავალჭიდში, რესპუბლიკის ნაკრებში შეიყვანეს. საკავშირო პირველობაზე მან მაშინ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

რაიონის ჩემპიონი არანაკლები გატაცებითა და აღმაფრენით გამოდიოდა ბაკურიანის თოვლიან ტრასებზე გამართულ სამთომოთხილამურეთა რესპუბლიკურ ტურნირებზეც. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ერთხანს კავშირგაბმულობის სამინისტროში მწვრთნელადაც მუშაობდა.

ვაჟკაცური სულის, თავგანწირული ძველი სპორტსმენი უყოყმანოდ ჩადგა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დამცველთა რიგებში. იყო თბილისის თავდაცვის საქალაქო შტაბის წევრი, იბრძოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში...

ახლახან მევლუდ ჯელაძეს 50 წელი შეუსრულდა. ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტმა სპორტის ერთგული და უანგარო ქომაგი დამსახურებულად დააჯილდოვა საპატიო სიგელით.

ვულოცავთ!

ნესტორ დუშუაშვილი,
ონის რაიონის სპორტის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, „სრ“ შტატგარეშე კორ.

ნუგზარ კიკნაძის ოდისეა

დედამიწის გარშემო მარტოდმარტო აფრებით მოგზაური ნუგზარ კიკნაძე ამ დღეებში თბილისთან დაძმობილებული სიცილიის დედაქალაქ პალერმოს სტუმარი იყო. ამ ქალაქში მრავალი ძველი ნაცნობი აფროსანი თუ ზღვაოსანი ნახა და უფრო მეტი ახალი გულშემატკივარი გაიცნო. მათ შორის საქართველო-იტალიის საზოგადოების და პალერმოს მერიის ძალისხმევით აქ დასასვენებლად მყოფი ორმოცდაათი ბავშვი — საქართველოს შვილები. ქართველი ზღვაოსანი 5 ივლისს მიიღო პალერმოს მერმა ლეოლუკა ორლანდომ. მიღებას ესწრებოდნენ პალერმოს აფროსანთა კლუბის პრეზიდენტი ფრანჩესკო ფაისი და ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ბატონმა მერმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა მამაცი ქართველი კაპიტნის გაცნობის გამო, სიყვარულით მოიხსენია საქართველო, მისი დედაქალაქი, თბილისელები და, უწინარესად, თბილისის მერი ნიკო ლეკიშვილი.

ბატონი ლეოლუკა ორლანდო თავისი კაბინეტიდან ტელეფონით დაუკავშირდა თბილისს — საქართველო-იტალიის საზოგადოებას. უნდა ითქვას, რომ ამ დაუვიწყარი შეხვედრის და მრავალ სხვა კეთილ საქმეთა მოთავე სწორედ საქართველო-იტალიის საზოგადოების პრეზიდენტი ვახტანგ ესვანჯია გახლავთ.

პალერმოს მერმა ნუგზარ კიკნაძეს პალერმოში გატარებულ დღეთა მოსაგონებლად დე კასტელის დიდებული ალბომი აჩუქა...

8 ივლისს სიცილიელთა გულუხვობითა და შთაბეჭდილებებით დატვირთულმა ქართველმა ზღვაოსანმა გეზი სარდინიისაკენ აიღო.

გვანჯი მანია,
კომპანია „მახარე“.

მორიგე რედაქტორი ლერი კიკნაძე.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434